ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1975 წ.



თბილისი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ომის ვეტერან ქალებთან.

ფოტო ა. პაპაიანისა

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

1975—ქალის საერთაშორისო წელი

# დიდ-მნიშვნელოვანი შეკრება

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

წარმატებები ვუპატაკოთ 1975 — ქალის საერთაშორისო წელს!

ვადაზე ადრე შევასრულოთ მეცხრე ხუთწლედი!

მივიღოთ მონაწილეობა 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში!

შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავი!

ასე ჩამოაყალიბეს თავიანთი სადღეისო მიზნები საქართველოს სამთო ქიმიის საწარმოებში მომუშავე ქალთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა. შეკრება ჩატარდა წყალტუბოს რაიონის დაბა გუმბრაში სამთო ქიმიის ტრესტის, პროფკავშირის ჯგუფური კომიტეტის და ქალთა საბჭოს ინიციატივით. შეკრების ჩატარებას ხელი შეუწყვეს წყალტუბოს რაიონის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. შეკრების მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში გამოხატეს იმ 680 ქალის ნება და სურვილი, რომლებიც მრეწველობის ამ დარგში მუშაობენ.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია იშვიათი წიაღისეულით, რომლის მოპოვება, დამუშავება და გამოყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი. მკითხველებისათვის უთუოდ საინტერესოა, სად და რა ადგილებში გვხვდება იგი, როგორ იყენებენ სახალხო მეურნეობაში, ვინ არიან მისი მომპოვებლები და დამმუშავებლები. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვყავანან მუშა, ინჟინერი და ლაბორანტი ქალები.

მახარაძიდან 22 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ბენტონიტური თიხების საბადო, ე. წ. ასკანის საბადო. მის მოპოვება-დამუშავებას აწარმოებს მახარაძის მაღაროთა სამმართველო. ასკანის თიხა თორმეტტონიან მანქანებს ჩააქვს მახარაძეში, სადაც ხდება გაშრობა, დაფქვა, შეფუთვა ქაღალდის ტომრებში. ამ პროდუქციას ასკანგელ ბ-ს სახელწოდებით გეოლოგები და ნავთისმაძიებლები ჭაბურღილების გასამაგრებლად ხმარობენ.

ქარხანა თანდათან გაფართოვდა. მისი მწარმოებლობა წელიწადში 100.000 ტონამდე გაიზარდა. პირველად საბჭოთა კავშირში ათვისებული იქნა ახალი სახეობის პროდუქციის — ასკანგელ ვ და ასკანგელ ფ-ს გამოშვება. პირველი იხმარება ღვინის და ხილეულის წვენების დასაწმენდად, მეორე კი საყალიბე მასალად მანქანათმშენებლობაში, ძირითადად ტოლიატის ავტომობილების ქარხანაში. ამ პროდუქციის მიწოდება გათვალისწინებულია აგრეთვე მშენებარე კამის ავტოქარხნისათვისაც. ასკანის თიხას იცნობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც: კუბაში, ეგვიპტეში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში.

კვების მრეწველობას ცხიმების დასაწმენდად და ზეთების რაფინირებისათვის ქიმიურად აქტივირებული თიხები სჭირდება. დღემდე ამგვარ პროდუქტს საზღვარგარეთიდან ვღებულობდით. ეს ორი წელია მახარაძელებმა აითვისეს აღნიშნული პროდუქტის დამუშავების რთული ტექნოლოგია და პირველად საბჭოთა კავშირში, საქარხნო პირობებში გამოუშვეს ქიმიურად აქტივირებული თიხა „ასკანიტი“ კვების მრეწველობისათვის.

საქართველოს ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა ასკანის თიხისგან მიიღეს საუკეთესო სამედიცინო პრეპარატი დამწვრობის სამკურნალოდ. მკურნალობისას დაზიანებულ ადგილს შეხვევა აღარ სჭირდება და განკურნების პროცესიც გაცილებით ჩქარა მიმდინარეობს.

ასკანის თიხა მოკლე ხანში პარფიუმერიაშიც დაიკავებს გარკვეულ ადგილს, როგორც თავსაბანი საშუალება. იგი იქნება საცხები კრემების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

წყალტუბოს რაიონში, დაბა გუმბრაში მდებარეობს მაღაროთა სამმართველო, რომელიც აქაურ თიხებს ამუშავებს. ორი წლის შემდეგ წარმოებას არსებობის 50 წელი შეუსრულდება. გუმბრინის აღმოჩენაში და პოპულარიზაციაში მთავარი დამსახურება მიუძღვის აკადემიკოს ა. თვალჭრელიძეს.

გუმბრინი გამოიყენება ნავთობმრეწველობაში ნავთობპროდუქტების გასაწმენდად. მისი ძირითადი მომხმარებელია ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები. ამ ბოლო დროს შეისწავლეს გუმბრინის ქიმიური თვისებები და გამოირკვა, რომ იგი საყალიბე მასის საუკეთესო შემავსებელიცაა და ავტოქარხნების სამსხმელი საამქროებისათვის გამოდგება. ამჟამად მიმდინარეობს წარმოების რეკონსტრუქცია, რაც მაღაროთა სამმართველოს დიდ პერსპექტივებს უსახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტ ბაკურიანიდან 5 კილომეტრის დაშორებით, ციხისჯვრის გზაზე ბაკურიანის ანდეზიტია. საბადო ღია წესით მუშავდება. ანდეზიტის ქვა მჟავაგამძლეა, იფქვება და როგორც მჟავაგამძლე ცემენტი გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში დიდი ავზების ამოსალესად. მას აგზავნიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქიმიურ კომბინატში. ბაკურიანის ანდეზიტი ქვაფენილებისა და ბორდიურებისთვისაც გამოიყენება. წარმოების რეკონსტრუქცია, მექანიზაცია და დაბის მშენებლობა-კეთილმოწყობა კიდევ უფრო გაზრდის საბადოს მწარმოებლობას.

ქუთაისის მაღაროთა სამმართველო ქუთბარიტი ამუშავებს ყონეთის და ღვეთის ბარიტის საბადოებს და ბარიტის კონცენტრატით ამარაგებს ლიტოპონის ქარხანას საღებავების დასამზადებლად.

ქუთაისის გამამდიდრებელი ქარხანა ამუშავებს აგრეთვე ბოლნისის ბარიტს და გვაძლევს ბარიტის კონცენტრატს, რომელიც ჭაბურღილების ბურღვისას დამამძიმებლის როლს ასრულებს.

ქუთბარიტს მომავალში განვითარების პერსპექტივები აქვს. აშენდება ბარიტკალციტის ქარხანა, რომელიც გამოუშვებს ლაქსაღებავების დასამზადებლად საჭირო ძვირფას შემავსებელ მასალას.

ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატი მდებარეობს ლენტეხის რაიონში, მაღალმთიან ზონაში, კავკასიონის თოვლით დაფარული მწვერვალების მისადგომებთან, ამუშავებს დარიშხანის საბადოს და თეთრი დარიშხანის სახით მრეწველობას აწვდის ნედლეულს მინის და ბროლის წარმოებისათვის. მომავალში გათვალისწინებულია მეტალურ-დარიშხანის ქარხნის აშენება, რომ უფრო მეტად ღირებული პროდუქცია დაამზადონ.

რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი ამბროლაურის რაიონში, მდინარე ლუხუმის ხეობაში, სოფელ ურავში მდებარეობს. იგი ამუშავებს დარიშხანის საბადოს, ამზადებს მეტალურ დარიშხანს, რომლითაც ამარაგებს რადიომრეწველობას და ელექტრონიკის მრეწველობას ნახევრადგამტარების დასამზადებლად. კომბინატის მიერ გამოშვებული დარიშხანის პრეპარატები გამოიყენება მეცხოველეობაში ცხოველების პარაზიტული დაავადების საწინააღმდეგოდ.

რაჭის სამთო-მეტალურგიულ კომბინატს დიდი მომავალი აქვს. ხორციელდება გენერალური რეკონსტრუქცია, შენდება უკანასკნელი ტექნიკითა და მოწყობილობით აღჭურვილი საამქროები, თანამედროვე კომფორტით მოწყობილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველო ონის რაიონშია. იგი ამუშავებს — ლე-

სორისა და გვალვანის ბარიტის საბადოებს, აქვს გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომლის გამოშვებული ბარიტის კონცენტრატი ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში გამოიყენება.

სამთო ქიმიის ტრესტი, რომელსაც საქართველოს სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, უკვე რამდენიმე წელია გამარჯვებულის სახელს ინარჩუნებს. მისი საწარმოები უშვებენ სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელ და მაღალხარისხოვან პროდუქციას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანის მწარმოებელი მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკაა. საბადოთა მაღაროებში ამ მძიმე და პასუხსაგებ საქმეს მამაკაცებთან ერთად ქალებიც ინაწილებენ. რა თქმა უნდა, მათი დამსახურებაცაა, რომ მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი, 1974 წელი ტრესტის საწარმოებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს, გეგმით გათვალისწინებული წლიური გეგმა 29 ნოემბრისათვის შეასრულეს. საერთოდ ყველა საწარმომ გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმები, რაჭის სამთო-მეტალურგიულმა კომბინატმა კი მე-9 ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში გაანაღდა.

ქალები, რომლებიც სამთო ქიმიის მრეწველობის საწარმოებში მომუშავეთა 28 პროცენტს შეადგენენ (რაც არც ისე ცოტაა მრეწველობის ამ მძიმე დარგისათვის), სულ უფრო ისწრაფვიან დაოსტატებისა და ცოდნის შეძენისაკენ. 67 ქალს უმაღლესი განათლება აქვს, 75 ქალი საშუალო ტექნიკური განათლებითაა, აქედან 49 ქალი მაღალმთიანი რაჭის კომბინატში მუშაობს. აღსანიშნავია, რომ სამთო ქიმიის საწარმოებში მომუშავე ქალებმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაამთავრეს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ქიმიური ფაკულტეტი, ბევრმა მათგანმა აიმაღლა ცოდნა საკავშირო ინსტიტუტებში. ამჟამად 8 ქალი დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

ისინი ჩაებნენ 1975 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში და უკვე ახალი საწარმოო მაჩვენებლებით გვახარებენ. მათ შორის არიან რაჭის კომბინატის მოწინავე ცვლის ოსტატი ნელი მიქიაშვილი, მეაპარატეები: ძაძუ ჩარქსელიანი, ლიანა ერაძე, ვარა ჯელაძე, ნაზიკო რეხვიაშვილი, ვარა მაჭანკალაძე, მახარაძის მაღაროთა სამმართველოს აქტივაციის საამქროს მეაპარატეები თინა ქათამაძე და ნაზიკო ცოცხალაშვილი; ქუთბარიტის ქარხნის ცვლის უფროსი ნელი არაბიძე; ბაკურიანის წარმოების შემფუთავები — ევგენია ბერიძე, ისკუნ მაიტეისიანი, ჯულიეტა კარკოზაშვილი, საქგუმბრინის მაღაროთა სამმართველოს მეაპარატეები — გალინა ქაშიბაძე, ელენე კოვზირიძე, აკუმულატორების დამმუხტველი ვერა ქუთათელაძე. მათი შრომა დაფასებულია. 40 ქალი დაჯილდოებულია სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით, ბევრს აქვს მთავრობის ორდენები და მედლები. სამ ქალს მიენიჭა „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ საპატიო წოდება. მათ შორის მახარაძის ასკანგელ ღვ-ის საამქროს უფროსს, ინჟინერ თამარ კალანდაძეს. მისმა საამქრომ ოთხ წელიწადში შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმა და კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება მოიპოვა. „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ საპატიო წოდება მოიპოვეს აგრეთვე გუმბრინელმა გულიკო ვაშაყმაძემ და ბაკურიანელმა თაქო სტეპანიანმა.

საწარმოებში გაჩაღებულია შრომა 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციისათვის, ტარდება კონკურსები პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლინებლად. ოსტატისა და ცვლის უფროსის ავტორიტეტის ასამაღლებლად. შექმნილია ოსტატთა საბჭოები როგორც საწარმოებში, ასევე ტრესტში. საწარმოებში 12 ოსტატი ქალია, ტრესტის გაერთიანებულ ოსტატთა საბჭოში კი — ორი.

სამთო ქიმიის მუშაკთა მთავარი ამოცანაა ხარისხისათვის ბრძოლა. პირველხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად მრავალი ღონისძიება ხორციელდება, როგორიცაა ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესება, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომატევად სამუშაოების მექანიზაცია და სხვ. სწორედ ამიტომაც მიენიჭა სამთო ქიმიის წარმოების ორ პროდუქციას ხარისხის ნიშანი. ბრძოლა ხარისხისათვის გრძელდება. ცნობილია, რომ მისი გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალებაა პროდუქციის ზუსტი კონტროლი. ამ მოვალეობას საამქროთა ლაბორატორიებში მომუშავე ქალები წარმატებით ასრულებენ.

რაჭის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში, რომელიც განსაკუთრებული სისუფთავის ნივთიერებებს უშვებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის კონტროლს.

სწორედ ამ მხრივ გამოიჩინეს თავი რაჭის სპექტრალური ლაბორატორიის გამგემ მარგალიტა ჯაფარიძემ, ახალგაზრდა ინჟინრებმა დალი ძანაშვილმა, ნინო მაისაშვილმა, ლაბორანტმა ნაიკო ჭელიძემ.

ხარისხისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მახარაძის, საქგუმბრინის და ჩორდის მაღაროთა სამმართველოების ქიმიურ ლაბორატორიებში მომუშავე ქალებმა — ზაირა სკამკოჩაშვილმა, ეთერ ჩაჩანიძემ, ზინა მეტრეველმა, მონიკა სიამაშვილმა, მედიკო გაგნიძემ და სხვებმა.

ჩორდის ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმომადგენლებმა ბაბილინა გაგნიძემ და მარგალიტა გოგრიჭიანმა კი წარმატებით აითვისეს ბარიტის გამდიდრების ახალი მეთოდი — ფლოტაცია და უშვებენ მაღალხარისხოვან ბარიტის კონცენტრატს.

თავიანთ შრომაზე, იმ დიდ ენთუზიაზმზე, რომელიც თან ახლავს სამთო ქიმიის საწარმოთა მშრომელებს, უკეთ ლაპარაკობდნენ ქალები თავიანთ გამოსვლებში. მოგვყავს ნაწყვეტები ამ გამოსვლებიდან...

**ნატა რუხაძე — ტრესტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილების უფროსის მოადგილე, ტრესტის პროფკავშირის ჯგუფური კომიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე:**

— ტრესტის ყველა საწარმოში დიდ როლს ასრულებენ ქალთა საბჭოები. ისინი ერთმანეთთან სოცშეჯიბრებაშიც არიან ჩაბმული. გუმბრინის და მახარაძის სამმართველოების ქალთა საბჭოები ამ შეჯიბრების საუკეთესო მაგალითს იძლევიან. ქალთა საბჭოები ზრუნავენ მუშათა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობენ ინიციატივას, ატარებენ კონკურსებს პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლინებლად. ყველგან მიმდინარეობს ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მეათე ხუთწლედში მთლიანად გადაიჭრას ბინის პრობლემა. შენდება ბაგა-ბაღები რაჭაში, გუმბრაში, მახარაძეში, მალე მწყობრში ჩადგება ახალი ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატები, სპორტული კომპლექსები.

დიდი სამუშაოები ტარდება მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. თითქმის ყველა საწარმო რეკონსტრუქციის სტადიაშია. ახალ, ნათელ უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილ საამქროებში გადავლენ რაჭის, ბაკურიანის, გუმბრინის და ქუთბარიტის მაღაროთა სამმართველოების მუშები.

თითქმის ყველგან შემოღებულია უფასო კვება, რაც დიდ შეღავათს აძლევს ჩვენს ქალებს. ზოგან მთელი ოჯახიც კი ერთად სადილობს უფასოდ. აი, სად არის კომუნიზმის საწყისები!

დიდი მზრუნველობით ვეკიდებით მუშათა და მათი შვილების დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟების საქმეს. ისინი უზრუნველყოფილნი არიან დასასვენებელი სახლისა და სანატორიუმის საგზურებით.

**თამარ კალანდაძე, მახარაძის მაღაროთა სამმართველოს საამქროს უფროსი:**

— სამმართველოს 500-კაციან კოლექტივში 100-ზე მეტი ქალია, რომლებიც შრომობენ წარმოების ყველა სფეროში. მათგან 10 ქალი უმაღლესი განათლებითაა, ბევრი კი — საშუალო სპეციალური განათლებით. ჩვენ გვყავს საამაყო ქალები — ეკონომისტი ლიდა მუჯირი, მეაპარატეები ნაზი ცოცხალაშვილი, არუსია ოვიანი, თინა ქათამაძე, ლაბორანტები — ეთერ მახარაძე, ლილი ღლონტი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ნატალია ჯაყელი, ლაბორატორიის გამგე ზაირა სკამკოჩაშვილი, ბუღალტერი ჟანა გაფრინდაშვილი, ლილი ლომინაძე და მრავალი სხვა. უთუოდ ქალთა დამსახურებაცაა, რომ მახარაძის სამმართველოს კოლექტივმა აიღო ვალდებულება, ხუთწლიანი გეგმა ვადაზე 4 თვით ადრე შეასრულოს.

200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციისათვის ბრძოლა უჩვენოდ, რა თქმა უნდა, არ ჩატარდება. სამმართველომ ივალდებულა წლის ბოლოსათვის გამოუშვას 552 000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ჩვენმა საამქრომ კი — 150 000 ტონა მაღალხარისხოვანი ნაწარ-



სხდომის დარბაზი

მი. საამქრომ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და რომელიც უშვებს ღვინის საწმენდ პროდუქციას, მეცხრე ხუთწლედის დავალება 1974 წლის 15 დეკემბრისათვის შეასრულა. ამ დიდ შრომაში ხელს გვიწყობდა კოლექტივის თითოეული წევრის ენთუზიაზმი, სოცშეჯიბრების მაღალი დონე, მტკიცე დისციპლინა, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ზრუნვა მუშათა კეთილდღეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მარტის თვეში საამქროს მუშებმა პრემიის სახით მიიღეს გამომუშავების 40 პროცენტი. სამმართველოს დირექციამ ბევრი რამ გააკეთა საამქროს რეკონსტრუქციისათვის, შეიცვალა საშრობი დოლები, მოხდა თიხის დაქუცმაცების და მისი საშრობ დოლებში მიწოდების სრული მექანიზაცია, რამაც გაანთავისუფლა ადამიანი მძიმე ფიზიკური შრომისაგან, კეთილმოეწყო საშხაპე, ქალთა ოთახი, ჩვენი მუშები მალე ახალმოსახლეობას იზეიმებენ 70 ბინიან სახლში.

წლის ბოლომდე ექსპლოატაციაში შევა ჩვენი საამქროს ახალი კორპუსი და წელიწადში 20 000 ტონამდე გაიზრდება მისი წარმადობა.

**ზინა ბაბნიძე — ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს ქალთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე:**

— ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურე ქალთა ინტერესებს ემსახურება ქალთა შორის მუშაობის კომისია, მან მიზნად დაისახა ქალთა შორის გაეშალა სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. კომისია დიდ ყურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და წარმოების ტექნოლოგიის დანერგვას.

ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოში ქალები მუშა-მოსამსახურეთა მესამედს შეადგენენ. ისინი მამაკაცებთან ერთად შრომობენ სხვადასხვა უბნებზე. გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მოწინავენი არიან მარგალიტა გოგრიჭიანი, ბაბილა გაგნიძე, გენუშა მაისურაძე, ღაღანა მაისურაძე, აგრაფინა ლობჟანიძე, კატო მაისურაძე, მასტრედი გაგნიძე, ალექსანდრა გაგნიძე, ნინა გაგნიძე; ქიმიური ლაბორატორიიდან შესანიშნავად შრომობენ ქიმიკოსები ვერიკო გაგნიძე,. ციცო მაგრაქველიძე, შურა გაგნიძე, სინჯის ამღები სტელა კერესელიძე, ნათელა მაისურაძე, ლენა გაგნიძე, ნაზიკო მაისურაძე. ელექტრო საამქროს სასახელო ქალები არიან მედიკო გაგნიძე, ლოლა ბეთხოშვილი, სამთო საამქროდან — ცაცა მეტრეველი, ლიზა ალბოროვა, დაშა მიქუჩაძე, ლიმონკა რეხვიაშვილი და სხვები.

**ნელი მიქიაშვილი, რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ცვლის უფროსი:**

— არც ისე დიდი დრო დარჩა სკკპ XXV ყრილობის მოწვევამდე. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შეხვედრის სამზადისში კიდევ უფრო ამაღლდა ჩვენი ქალების აქტივობა. ის ფაქტი, რომ გასულ წელს ჩვენმა კომბინატმა IX ხუთწლედის გეგმა შეასრულა, ტრესტში შემავალ საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი და ტრესტის გარდამავალი დროშა დაისაკუთრა, ჩვენ, ქალებს კიდევ უფრო მეტს გვავალებს. დღევანდელი შეკრება კი ხელს შეგვიწყობს მუშაობის უკეთ წარმართვაში, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

დასასრულ, შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ტრესტის მმართველი ნ. შ. ცხაკაია, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ სამთო ქიმიის ქალთა კოლექტივი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავის წვლილს შეიტანს მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაჭრაში. მან აღუთქვა შეკრების მონაწილეებს, რომ ტრესტის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ჯგუფური კომიტეტი უფრო მეტად შეუწყობენ ხელს ქალებს შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში.

შეკრებაზე სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული ქალები დაჯილდოვდნენ „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ სამკერდე ნიშნებით, ქების სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში მომუშავე ქალებისადმი.

## მუშაობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში

# მოსკოვი, კრემლი...

ყოველ კუთხეს გააჩნია რაღაც განსაკუთრებით თავმოსაწონი. კახელები სამართლიანად ამაყობენ საქვეყნოდ ცნობილი კახური ღვინით, გურულები — ჩაის უხვი მოსავლით, აფხაზები — სახელგანთქმული არომატული თამბაქოთი და ციტრუსებით.

ვენახი, ჩაი, თამბაქო და ციტრუსები ჩვენს მზიურ აჭარაშიც ბევრი გვაქვს. მათ უმთავრესად ჩვენი მკლავმოუღლელი სახელოვანი ქალები უვლიან და მოსავლის რეკორდსაც ამყარებენ.

მაგრამ არის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საამაყო რეკორდი, რომლითაც აჭარელი ქალები საქართველოს სხვა კუთხის ქალებთან შედარებით ყველაზე მეტად ამაყობენ. ეს გახლავთ მრავალშვილიანობის რეკორდი. ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ აჭარაში 365 გმირი დედაა!

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნეობის მეჩაიე, 13 შვილის დედა ულფეთ დუმბაძე არა მარტო გმირი დედაა, არამედ საკოლმეურნეო მინდვრების გმირიცაა.

აი როგორი შინაარსის დეპეშა გაგზავნა შარშან გმირმა დედამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე:

„მოსკოვი, კრემლი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს!

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

მე, ვეტერანი მეჩაიე, უდიდესი ყურადღებით გავეცანი თქვენს გამოსვლებს ყამირის ათვისების 20 წლისთავის ზეიმზე ქ. ალმა-ათაში და გმირ ქალაქ ნოვოროსიისკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე. ცამეტი შვილის დედა, აღფრთოვანებული ვარ პირადად თქვენი ფასდაუდებელი აქტიური მოღვაწეობით მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენ, დედები მადლიერნი ვართ, რომ ჩვენი შვილები ბედნიერები არიან, რომ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მათი ნათელი და ულრუბლო მომავლისათვის იბრძვით.

გმირი დედა მოხარული ვარ, მოგახსენოთ, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მოვკრიფე 29,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მათ შორის 8 ტონა—მეათე ხუთწლედის ანგარიშში. ვალდებულებას ვკისრულობ ხუთწლედის ბოლომდე კიდევ მოვკრიფო 7 ტონა ჩაის ფოთოლი, ეს იქნება ჩემი მხარდაჭერა ალმა-ათაში თქვენი გამოსვლისადმი და ჩემი პირადი წვლილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს დაუღალავ მოღვაწეობაში ჩვენი დიადი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უ. დუმბაძე —გმირი დედა,
ჭარნალის კოლმეურნეობის მეჩაიე“.

და მართლაც შვილების მოყვარულმა დედამ ყველაზე უკეთ იცის მშვიდობის ფასი, შრომის სიკეთე, მიწის ყადრი, მიწასაც ხომ შვილივით ზრუნვა სჭირდება!

ულფეთი 48 წლისაა, მაგრამ ამ ნაამაგარ, თმაშევერცხლილ, ჯანმაგარ ქალს ახალგაზრდულად უბრწყინავს თვალები. ბედნიერ დედას შვილების ბედნიერების შარავანდედი მოსავს და ძალასაც ის აძლევს. განა ხუმრობაა ცამეტი შვილის დედობა? ვინ იცის, რამდენი თეთრი, უძილო ღამის ფასად დააფრთიანა თვალხატულა გოგო-ბიჭები. ყველას ერთნაირად სჭირდებოდა სითბო და ალერსი, დედის სათუთი მოპყრობა, მაგრამ შვილებიც ვალში არ რჩებოდნენ, დედის ამაგს უანგარო სიყვარულით და პატივისცემით ანაზღაურებდნენ.

როცა ულფეთს შევხვდი, ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ვკითხე:

— გაგიჭირდათ ამდენი შვილის გამოზრდა?

კითხვაზე კითხვით მომიგო:

— თავად რამდენი გყავთ?

გავწითლდი, დასაკვეხი არაფერი მქონდა, მიმიხვდა. ფარული საყვედურით, მაგრამ ღიმილით განაგრძო:

— თვითონ განსაჯეთ! ნარგიზას, სერგოს, ნანულის, იზოლდასა და ბიძინას სკოლაში, ხოლო პატარა ლადოს საბავშვო ბაღში დილით ერთდროულად მომზადება და გასტუმრება, ამასთან, მეც ხომ მიმეჩქარება ჩემს ნამიან ჩაის ბუჩქებთან. სკოლიდან მოსულებსაც უნდა შევავლო თვალი — ხომ იცით დედის გული! დანარჩენი შვიდიდან: ციალა, მერი, თამარი, ზურაბი, რეზო, ჟუჟუნა და ეთერი — ზოგი სტუდენტია, ზოგი ტრაქტორისტი, ზოგი მუშა თუ კოლმეურნე. შვილების სიყვარული ძალას მმატებს სიძნელეების გადალახვაში. ვიდრე დედას შვილები კარგად ეგულება, ის არ გატყდება, ამ ძნელ და სასიხარულო შრომაში დედაშვილობის სიყვარულის დიდი ძალა მშველის.

ვუსმენდი ამ ქალს და სიხარულს ვერ ვფარავდი. სიცოცხლის რა უშრეტი ძალაა ამ უბრალო ქალში, რა დიდი რწმენაა, დედობის რა დიდი გრძნობა!

**გული კიკნაძე**

## 120 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის

# ისახლოს ვაზმა ახმეტაში!

თავდადებით იშრომეს შარშან ახმეტის რაიონის მშრომელებმა. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში მიღწეული წარმატებისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რაიონი დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამას მეორე, კიდევ უფრო დიდი აღიარება მოჰყვა — ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს.

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა მრავალდარგოვანია. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის, მეხილეობის და მებოსტნეობის განვითარებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრიგადირი ა. მ ა ი ს უ რ ა ძ ე (მარჯვ.) ესაუბრება ბრიგადის წევრებს



შეწამვლა

ვაზის თოხნა აგრეგატით



ძირითადი კულტურა კი მაინც ვენახია, რომელსაც ამჟამად 697 ჰექტარი უჭირავს.

აგროწესების დროულად გატარებით და ვაზის დიდი სიყვარულით შარშან ახმეტელმა მევენახეებმა სასახელო შედეგს მიაღწიეს. ბარაქიან მოსავალს კი ელოდნენ, მაგრამ იმას არავინ იფიქრებდა, თუ სახელმწიფოს 4.821 ტონა ყურძენს ჩააბარებდნენ.

ეს, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო გეგმის 176 პროცენტს შეადგენს.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით ისახელეს თავი ხუთივე აგროუბნის მევენახეებმა. გამოცდილი მევენახე, პირველი აგროუბნის უფროსი, კომუნისტი შალვა ალბორიშვილი უნარიანად, საქმის ცოდნით, შემოქმედებითად უძღვება საქმეს. ამის შედეგია, რომ აგროუბანმა ნავარაუდევი 695 ტონის ნაცვლად, 1321 ტონა ყურძენი მოიწია.

ბრიგადირ გიორგი მაისურაძის სახელი მთელს რაიონშია ცნობილი. მისმა მევენახეებმა ჰექტარზე 131 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს. ეს სარეკორდო მოსავალი მათაც, რა თქმა უნდა, თავდადებული შრომით მიიღეს.

მკლავმოუღლელს ეძახიან ცნობილ მევენახეს, სოციალისტური შრომის გმირს გიგლა ხარიტონაშვილს.

აგერ უკვე ოცი წელია რაც მევენახეობაში მუშაობს თამარ ჩეკურიშვილი. ამაყობს თამარი თავისი „რქაწითელათი“ და „მწვანით“. ერთწლიანებს კი პატარა ბავშვივით ეფერება, ელოლიავება.

— ნორჩები არიან. ფაქიზი მოპყრობა ეჭირვებათ. აბა, შეხედეთ, ამათი რქა და კვირტი ხუთწლიანისას შეედრება?

და თამარი „სტაჟიან“ ვაზებს თუ ოთხჯერ წამლავს. „ნორჩებს“ ექვსჯერ აფერადებს შაბიამნით.

გაივლის ორიოდე წელი და 30 ჰექტარი ვაზი ნაყოფს გამოიღებს.

საზღვარი არ ექნება მაშინ თამარის სიხარულს.

როგორ არ უნდა თქვა ორიოდე სიტყვა შრომის ვეტერანზე ნინო ხარიტონაშვილზე!..

ნინო ბრიგადაში ყველაზე უხუცესია. ბრიგადაში კი არა, მგონი ახმეტის რაიონში ნინოს ხნის მევენახე ძნელი მოსაძებნი იქნება.

ვაზს ვაცოცხლებ და ვაზი მაცოცხლებსო — ამბობს ნინო, — თორემ, აბა, ორმოცდაათ წელიწადს ვენახში რა გამაძლებინებდაო?

აღსანიშნავია, რომ ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ასეთივე ყურადღებით ეკიდებიან სხვა დარგების განვითარებასაც. ახალგაზრდა აგრონომის ელდარ ომარაშვილის დამსახურება ისაა, რომ ორი წელია მეურნეობა ბოსტნეულის საუკეთესო მოსავალს იღებს. შარშან მებოსტნეთა ბრიგადამ 84 ტონის ნაცვლად 134 ტონა ბოსტნეული მოიყვანა. გოდერძი უძილაურის ბრიგადის წევრებმა გეგმის გადამეტე-



ტრაქტორისტი გ. პეტრიაშვილი

ფოტო დ. იაკობაშვილისა



პლანტაციაში

ბით 10 ცენტნერი ხორცი და 88 ცენტნერი რძე ჩააბარეს.

ბოსტნეულის და ხეხილის მოსავლიანობის გადიდება, ძროხების წველადობის ზრდა, ხორცისა და რძის პროდუქტების სიუხვე ქალთა თავდადებული შრომის გარეშე წარმოუდგენელია.

ანეტა აბაიშვილი მეხილეობის ბრიგადას უდგას სათავეში. იგი, 25 დობილთან ერთად, თავს დასტრიალებს ხეხილის ბაღს. ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე მეურნეობიდან ჩამოტანილი ვაშლის ჯიშები „ჯონატანი“ და „გონდელ დენიშევსკი“ შესანიშნავად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. ბრიგადის წევრები: რუსუდან ტარძული, სირანა შათირიშვილი, ფეფო გულიაშვილი დროზე სხლავენ, წამლავენ და რწყავენ ხეხილს. ამიტომაც მოელიან წელს ვაშლის უხვ მოსავალს.

მიმდინარე წელი სერიოზულ ამოცანებს უყენებს ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს. სოციალისტური ვალდებულებით მათ 4500 ტონა ყურძენი უნდა მოიწიონ. ახმეტელები კი შარშანდელივით გადამეტებაზე ფიქრობენ და ამის საფუძველს კიდეც ქმნიან.

ახმეტელებს არ უყვართ ტრაბახი და ბრტყელ-ბრტყელი დაპირებები. მოვა დრო და ყველას დაანახვებენ, რისი შემძლეც არიან! რა დასამალია და, დროშის უკან დაბრუნებას სულაც არ ფიქრობენ.

X

უხვი მოსავლის მიღებისათვის მათი სადღეისო, უპირველესი ამოცანაა მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა.

აი, რა გვიამბო ამის შესახებ საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა ბატიაშვილმა:

— მეჩხერიანობის ლიკვიდაციის პრობლემა რაიონის კომუნისტების წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დადგა მას შემდეგ, რაც ამ ორიოდე წლის წინათ ყინვამ ვენახი დაგვიზიანა. ამჟამად 500 ჰექტრამდე ფართობი ფაქტიურად თითქმის ცარიელია. ასეთ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, ვერ შევეგუებით. წელს 7 მილიონ 200 ათასი ნერგი უნდა დავამყნოთ. ეს საგრძნობლად გამოასწორებს საქმეს და უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გაზრდის ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობას.

მეჩხერიანობას ნაცადი ხერხითაც ვებრძვით — ვახდენთ ვაზის გამორგვას, გამხრევებას და გადაწვენას.

მეორე პრობლემა, რაც არანაკლებ გვაწუხებს, მეცხოველეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევაა. ჯერ კიდევ ძალზე მაღალია ჩვენს მიერ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება. არასახარბიელოა საქონლის ჯიშობრივი შემადგენლობაც. რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ წინ წავწიოთ მეურნეობის ეს დარგი.

ჩვენი მეცხოველეები ახლა თუშური ჯიშის ცხვრის გამოყვანაზე მუშაობენ. მარტო ჯიშობრივი გაუმჯობესებით წინ ვერ წავალ. არ გვყოფნის საზამთრო საძოვრები. საჭიროა ბუნებრივი საძოვრების გასარწყავება და მათი ზედაპირის გაუკეთესება.

— გზები არ გვივარგა, ფარებში მისასვლელი გზები — ჩაერია საუბარში მეურნეობის დირექტორი სულთან შაშიაშვილი.

— დიახ, უგზოობაც ძალიან გვაფერხებს. მთათუშეთის იალაღებზე გვიჭირს ცხვრის გადარეკვა. გადავრეკავთ და ახლა მარილის გადაზიდვა ხდება თავსატეხი. მარილი მანქანებით ვერ გადაგვაქვს უგზოობის გამო. 133 ათასი სული ცხვრისათვის საკმაო მარილის ვერტმფრენით ჩატანა კი ძალიან ძვირი ჯდება და არ არის ხელსაყრელი.

იმედია, რომ გზა, რომელიც ახლა გაგვყავს, ერთ-ორ წელიწადში ამ პრობლემას დადებითად გადაჭრის.

**უ. ზარქიძე**

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

# მშრომელი ქალის ინტერესებისათვის



მაკიკო იამამოტო,
იაპონიის პროფკავშირების (სოხიოს) გენერალური საბჭოს ქალთა განყოფილების გამგე.

ცნობილია, რომ კაპიტალისტური საზოგადოება მუშათა კლასის ინტენსიურ ექსპლოატაციაზეა დამყარებული. სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით კი, იაპონია ექსპლოატაციის განსაკუთრებული მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, უმთავრესად, სწორედ ამით აიხსნება იაპონიის ეკონომიკის სწრაფი განვითარება უკანასკნელ ათწლედში. შრომის დაბალი ანაზღაურება მონოპოლიების უცვლელ პოლიტიკად რჩება.

ქალებისათვის შრომის ანაზღაურებაში დისკრიმინაცია თავს უკვე მაშინ იჩენს ხოლმე, როცა საქმე პროფესიის არჩევაზე მიდგება. იაპონელი ქალისათვის ეს არჩევანი მეტად შეზღუდულია. შემდეგაც, სამსახურში რომ ეწყობა, ის იძულებულია ყოველგვარ პირობებს დაყაბულდეს, ხოლო უფრო მაღალი თანრიგის მისაღებად მას ძალიან დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდება. მუშა ქალი ორმაგ, ზოგ შემთხვევაში კი სამმაგ ექსპლოატაციას განიცდის. 1972 წლის მონაცემებით, ქალის ხელფასი, მამაკაცის ხელფასთან შედარებით, 50,2 პროცენტს უდრის.

მონოპოლიები ხოტბას უძღვნიან იაპონიის ეკონომიკის მაღალ განვითარებას, ბევრს ლაპარაკობენ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. მაგრამ როგორია სინამდვილე? ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვება საწარმოები, რომლებშიც ქალს მხოლოდ 30 წლის ასაკამდე შეუძლია იმუშაოს. არც ისე ცოტაა საწარმო, სადაც ქალს გათხოვებისთანავე ან შვილის გაჩენისთანავე სამსახურიდან ითხოვენ. ჩვენში მწვავედ იგრძნობა ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა, ამიტომ იქაც კი, სადაც შვილის გაჩენა სამსახურიდან დათხოვნას არ იწვევს, ქალი, მშობიარობის შემდეგ, როგორც წესი, იძულებულია სამსახური მიატოვოს.

კაპიტალისტური რაციონალიზაცია, შრომის ინტენსიფიკაცია უბედურ შემთხვევათა და პროფესიულ დაავადებათა რიცხვს ზრდის. ბევრი ქალი იძულებული ხდება, ავადმყოფობის გამო, სამსახური მიატოვოს.

სამწუხაროდ, პროფკავშირები ჯერ კიდევ ცოტას იბრძვიან მშრომელი ქალების უფლებების დასაცავად. და არც თვით ქალებს აქვთ სავსებით შეგნებული ამ ბრძოლის მნიშვნელობა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 12 მილიონამდე ქალი მუშაობს, პროფესიულ კავშირებში კი მხოლოდ სამი მილიონ სამასი ათასია გაწევრიანებული. საქმე იმაშია, რომ იაპონელი ქალის უუფლებობას ძველისძველი, ღრმა ფესვები გაჩნია. ამას აღრმავებს ოჯახური აღზრდაცა და ეროვნული ტრადიციებიც. ყველაფერ ამას კაპიტალისტები თავისი ინტერესებისათვის იყენებენ.

წელს, ქალის წელიწადს იაპონიის პროფკავშირებმა უფრო მაღლა ასწიეს ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის დროშა. ჩვენი პროფკავშირები მხოლოდ მილიონ ასი ათას ქალს აერთიანებს. და მაინც, ჩვენს ბრძოლას შრომის პირობებისა და სოციალური საკითხების მოგვარებისათვის კარგი შედეგი მოაქვს.

მე მსურს გაგაცნოთ, რას აკეთებს სოხიო მშრომელი ქალების ინტერესების დასაცავად.

## შრომის ანაზღაურებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ

ძირითადი კანონის IV პარაგრაფი აცხადებს, რომ შრომა ერთნაირად უნდა აუნაზღაურდეს ქალს და მამაკაცს. მაგრამ იურიდიულად კანონი საკმაოდ დასაბუთებული არ არის და მისი ფორმულირება მეწარმეებს გასაძრომ-გამოსაძრომ ხვრელებს უტოვებს. ამიტომ ჩვენ ვიბრძვით, რათა განხორციელებულ იქნეს ინსპექციური კონტროლი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 100 კონვენციის შესრულებაზე, რომელიც 1968 წელს იქნა რატიფიცირებული. გაზაფხულზე, როცა პროფკავშირული ორგანიზაციები შეტევაზე გადადიან, ჩვენ ყოველ პრეფექტურაში ვატარებთ ქალთა აქტივის კრებებს, მიტინგებსა და დემონსტრაციებს.

## დედობის უფლების დაცვა

დედობის უფლების დაცვის კანონმდებლობა ჩვენში საკმაოდ ჩამორჩება სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობებს, სოციალისტურ ქვეყნებისაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ძირითადი კანონის 65-ე პარაგრაფი აწესებს 12-კვირიან შვებულებას მშობიარეთათვის (6 კვირა — მშობიარობამდე და 6 კვირა — მშობიარობის შემდეგ). მაგრამ ფაქტიურად მშობიარობის შემდეგ დედას მხოლოდ 5-კვირიან შვებულებას აძლევენ და ისიც — უხელფასოს. პროფკავშირში გაუწევრიანებელი ქალები კი, ადგილის დაკარგვის შიშით, მშობიარობის წინა შვებულებასაც ვერ იყენებენ მთლიანად, მათ მხოლოდ ხელფასის 60 პროცენტი უნაზღაურდებათ და ისიც თვით მუშა ქალების სადაზღვევო შესატანი თანხებიდან.

ჯერ კიდევ ათი წლის წინ სოხიომ ერთიანი მოთხოვნები წამოაყენა სამშობიარო შვებულების, ბავშვის კვების საათების, ავადმყოფი ბავშვის მოსავლელი შვებულებისა და სხვა საკითხთა მოგვარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პროფკავშირმა ამ მხრივ წარმატებებსაც მიაღწია.

## მშრომელ ქალთა უფლებების დაცვა

ილაშქრებენ რა ქალებისათვის ადრეული ასაკობრივი ზღვარის ან გათხოვებისა თუ შვილის შეძენის გამო ქალის სამსახურიდან დათხოვნის წინააღმდეგ, პროფკავშირები, ჩვეულებრივ სასამართლო ინსტანციებს მიმართავენ ხოლმე და ძალიან ხშირად სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მშრომელი ქალის სასარგებლოდ მაგრამ მეპატრონეებს, როგორც წესი, საქმე უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში გადააქვთ. და ამის შედეგად, სამსახურიდან დათხოვნილ ქალს წარმოებაში მხოლოდ კომპრომისის წესით აბრუნებენ და ცოტა ხნის გავლის შემდეგ სულაც თავიდან იცილებენ.

სოხიო მოითხოვს შეტანილ იქნეს შესწორება შრომის შესახებ ძირითადი კანონის მე-3 პარაგრაფში, რომელშიც გათვალისწინებული არ არის დისკრიმინაცია სქესის მიხედვით. სოხიო ფართოდ შლის მოძრაობას სამუშაო დღის შემცირებისათვის, აგრეთვე, მოძრაობას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

მშრომელ ქალთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში იზრდება აქტივისტ ქალთა რიგები, პროფკავშირულ ორგანიზაციებში მრავლდება ხელმძღვანელ ქალთა რიცხვი, მტკიცდება ჩვენი ერთობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერია გერასიმოვა

# მხოლოდ სიმართლე

(მოთხრობა)

მხატვარი გ. ენაგელი

— შენ როგორღა შეიტყვე ამის შესახებ? — წყნარად ჰკითხა ქალმა.

— რადიოთი... ოდესის ნავსადგურში ვდგავართ, ვრთავ უკანასკნელ ცნობებს, და უცებ...

— არა, არა! ნუ იტყვი! ოღონდ ნუ იტყვი! — დიასახლისმა სასოწარკვეთილი მოძრაობით პატარა ხელები ყურებზე აიფარა.

ქალები დუმდნენ. კედელზე დაკიდებული დიდი სურათიდან კი ალერსიანად და გამსჭვალავად იმზირებოდა მამაკაცი.

— ეს ვიტიაა, ავადმყოფობამდე ერთი თვით ადრე გადაიღო, ძლივს დავითანხმე. ჰალსტუხიც კი მე გავუკეთე, ხუმრობდა სადილეში მიხაკის გაბნევა-ღა მაკლიაო. ხომ გახსოვს როგორი იყო?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. არასოდეს და არაფერში არ უყვარდა პოზირება!

ასე წყნარად საუბრობდნენ ქალები, აღადგენდნენ რა მეხსიერებაში იმ ადამიანის სახეს, რომელიც ამ ქვეყნად აღარ იყო.

გულის ტკივილი რომ შეემსუბუქებინათ, სკოლაში სწავლის იმ შორეულ წლებს იგონებდნენ, როდესაც სამივენი — რაია, მაშა და ვიტია — ერთ მერხზე ისხდნენ, რაიამ „ნორმის ზევით“ ითხოვა მათთან დაჯდომა, ეტყობა ჯერ კიდევ მაშინ უგრძნობდა გული თუ ვინ უნდა ყოფილიყო მომავალში მისთვის ვიქტორი.

მკვიდრ, კარგად ნაგებ სახლში, ძნელად შესამჩნევი, თბილი ერბოზელილის სურნელი იდგა, ისეთი როგორიც დგას ხოლმე საერთოდ ასეთ სახლებში.

გამოღებულ კარში მოჩანდა, თუ რა გულმოდგინედ უკრავდა მეზობელ ოთახში გოგონა გამებს.

— ჩემი ნაბოლარაა, — სიამაყით წარმოთქვა დიასახლისმა, — ხომ ჰგავს მამას?

სტუმარმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მგონი უნდა ჰგავდეს... უფროსები სადღა არიან?

— ნატაშა გათხოვდა და სვერდლოვსკშია. ბობკა მამის კვალს გაჰყვა, არქიტექტურულს ამთავრებს...

— ნატაშა გათხოვილია! მე კი გუშინდელ დღესავით მახსოვს ხელში რომ ჩხარუნა ეჭირა.

— ასეა, ოც წელიწადში ერთხელ რომ შეხვდები ადამიანს! — გაეცინა დიასახლისს.

— მე კი ხშირად, ძალიან ხშირად გიგონებდი, სად არის-მეთქი ჩვენი მაშა კისელი?! ვისთანაც კი ხელი მიმიწვდებოდა ყველას ვეკითხებოდი, ხომ გახსოვს მეტსახელად ასე რომ გეძახდნენ? ისეთი დონდლო და უცნაური იყავი, როცა გიყურებდი, ასე მეგონა ფეხზე მდგომს გეძინა, კაცი ვერ წარმოიდგენდა შენგან რა უნდა გამოსულიყო! მერე კი საოცრად გამიკვირდა, ვიტიასაც ვკითხე — ეს ჩვენი მაშკა კისელევია მთელი შავი ზღვის ფსკერი რომ დაუვლია და რაღაც განსაკუთრებული ქანი აღმოუჩენია-მეთქი — ის არისო, მიპასუხა. საოცარი ამბავია!

ეს ორი ქალი არაფრით არ ჰგავდა ერთმანეთს. დიასახლისს აშკარა სამხრეთული ეშხი ამკობდა, ასაკს რომ ეურჩება. რუხ სტანდარტულ კოსტუმში გამოწყობილ მის მეგობარს კი საფეთქლები ოდნავ შეჭაღარავებოდა. ხელში უხერხულად ეჭირა მამაკაცის დიდი პორტფელი, რაც კიდევ უფრო მატებდა ხანს.

— მე კი ვერც წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ცეცხლოვანი, მზეთუნახავი რაია სამაგალითო დედა და დიასახლისი დადგებოდა... — მარია ალექსის ასულს გაეღიმა.

— შენ გგონია უცბად გარდავიქმენი? — ამოიოხრა რაისა ოსიპის ასულმა — სტომატოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, პოლიკლინიკაში დავიწყე მუშაობა... მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაიარა! თუმცა რა სალაპარაკოა! ყველაფერი ვიქტორს ვანაცვალე. — ერთხელ კიდევ ამოიოხრა ქალმა.

— კი მაგრამ, შენ ხომ ბედნიერი იყავი?

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი! შეიძლება შენ, მარტოხელა ქალს, არც უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ბედნიერი, უზომოდ ბედნიერი ვიყავი ნიჭიერი ქმრისა და ჭკვიანი, ლამაზი ბავშვების შემყურე.

ქალები წყნარად საუბრობდნენ, მათი აზრი კი ისევ კედელზე დაკიდებულ მამაკაცის პორტრეტს, მის ალერსიანსა და ნაღვლიან ღიმილს დასტრიალებდა.

— იცი რა, რაია, ჯობდა სურათი სრულიად უბრალო ჩარჩოში ჩაგესვა.

— მეც ვიფიქრე, მაგრამ ოქროსფერი ჩარჩო თითქოს უფრო სოლიდურია... ჩვენს სახლს ხომ დღეს სალოცავივით ეტანებიან... საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდიან ვიტიას ტალანტის თაყვანისმცემლები. აი, ეს თაიგული გუშინ პიონერებმა მოიტანეს. რამდენი სასახლე აუშენებია მათთვის! — რაისა ოსიპის ასულმა ნაზად მიუალერსა ყვავილის ფურცლებს.

— ესეც ბედნიერებაა, — თქვა კისელევამ, — ყველაზე დიდი ბედნიერება!

— ამ ბედნიერებას არც შენ ხარ მოკლებული, რა თქმა უნდა, არა ისეთი დიდი მასშტაბებით, მაგრამ... ძალიან გამიკვირდა, როდესაც გაზეთებიდან შენი დაჯილდოვების ამბავი შევიტყვე.

— გმადლობთ, რაია. — კისელევამ დიდი, ფერმკრთალი ხელი გადაუსვა მეგობარს კოხტად დავარცხნილ მსხვილ კულულებზე.

— გულახდილად მითხარი, მაინც რატომ არ გათხოვდი? შენც ხომ შენებურად კარგი იყავი. რამდენ შენით მოხიბლულ ყმაწვილს გამოუმჟღავნებია ჩემთვის თავის გულისნადები! პეტკა გრივკო ხომ პირდაპირ ჭკუაზე იშლებოდა! ნუთუ არ გსურდა ბედნიერება?

— რატომაც არა, მხოლოდ ერთი პირობით.

— მაინც რა პირობით?

— თუ ის ჭეშმარიტი იქნებოდა.

— ყოველთვის ასეთი იყავი! სულ ფილოსოფოსობ ერთთავად! შენი და გრივკოს საქმე თითქოს უკვე უნდა გადაწყვეტილიყო. ლამაზი ბიჭია, შენ კი ადექი და სადღაც ყინულოვანი ოკეანისაკენ გასწიე. სულელურად მოიქეცი, სულელურად!

— აიჩემე რა შენც ეგ გრივკო...

— მე, ჩემო კარგო, ვერ მომატყუებ! მახსოვს, გამგზავრების წინ ფეხზე ძლივს რომ იდექი. ერთი მითხარი, მას შემდეგ თუ შეხვედრიხარ სადმე პეტკას?

— როგორ არა, შევხვდი. ერთხელ ტაიგაში მძიმე ავად გავხდი, მაშინვე იქ გაჩნდა და გადიასავით მივლიდა, მერე კი სიყვარულში გამომიტყდა.

— შენ რაღა უპასუხე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვუპასუხე, რომ სხვა მიყვარს. მან მკითხა, ხომ შეიძლება გაგაროსო? არა-მეთქი. გმადლობთო — მითხრა. რისთვის-მეთქი? — სიმართლისათვისო... კიდევ დიდხანს დარჩა ჩემთან, მერე კი თქვა: ვერ გავუძლებო და წავიდა.

— ეჰ, ვინ იცის ამ „სიმართლეს“ რამდენი უბედურება დაუტრიალებია! — რაისა ოსიპის ასულმა ჩაიცინა. — იმ „სხვას“ ალბათ უყვარდი.

— დიახ — უპასუხა მცირე დაყოვნების შემდეგ ქალმა.

— ესე იგი შენ ბედნიერი იყავი?

— არა, ბედნიერი არ ვყოფილვარ. ცხოვრებამ ერთმანეთს დაგვაშორა. უფრო სწორად, ჩვენ თვითონ დავშორდით, როგორც თვრამეტი წლის ასაკში ხდება ხოლმე. რაზე არ ვდავობდით: მორალზე, ხელოვნებაზე, ასე გასინჯე, ჩაცმაზედაც კი. მე ვამტკიცებდი, რომ ბლოკის მოყვარულნი სცოდავდნენ, სანიმუშო საზომად სამუშაო კომბინეზონი მიმაჩნდა. საშინელი, შეურიგებელი დოგმატიკოსი ვიყავი!

კისელევამ გულიანად გაიცინა.

— ნუთუ ბლოკის გამო...

— არა, სხვა მიზეზიც იყო.

— მეტოქე?

— დიახ.

— შენზე ლამაზი?

— სამწუხაროდ, ჩემზე ლამაზი!

— შენც მიატოვე და წახვედი? არ იბრძოლე ბედნიერებისათვის?

— არა.

— მხოლოდ იმიტომ, რომ შენზე ლამაზი იყო?.. — ეჭვი მეპარება. მე მგონი საქმე სხვანაირად იქნებოდა. მაშა, არ გეწყინოს ღვთის გულისათვის, ჩემის აზრით, შენ ყოველთვის გაკლდა რაღაც... ქალური მოქნილობა, თუ... რაც გინდა დაარქვი. ხან სულ დუმდი, ხან კი ისე შეხედავდი შენს პრეტენდენტს, თითქოს რენტგენის სურათს უღებდი. კაცს გუნება ეწამლებოდა. მამაკაცის მოპოვება და, რაც მთავარია, მისი შენარჩუნება... ეს, ჩემო კარგო, მთელი მეცნიერებაა!

ტანადმა ქალმა, რომელსაც ნაპოლეონივით დაეკრიფა გულზე ხელები, ოთახში გაიარა.

— დიახ, როგორც ქალი, ბედნიერი ვიყავი, ძალიან ბედნიერი, მაგრამ მერწმუნე რომ ამ ბედნიერების მისაღწევად დიდი ჯაფა დამჭირდა.

— დიდი?

— დიახ, მერწმუნე, რა სიღრმეც არ უნდა იყოს, იქედან სინჯის ამოღება უფრო ადვილია, ვიდრე, მომიტევე პირდაპირობისათვის, ნამდვილად ერთგული ქმრის შოვნა. დავუბრუნდეთ შენს ისტორიას. რა მოხდა შემდეგ? შეხვდი მას?

— არა. გავიგე, რომ ცოლი შეერთო.

— ის ლამაზი ქალი?

— დიახ, ის.

— წარმომიდგენია, კისელიოკ, როგორ იკვნეტდი ფრჩხილებს?

— არა, არ ვიკვნეტდი. — მარია ალექსის ასულმა ფანჯარაში გაიხედა და აგვისტოს გაფერმკრთალებულ ცას მიაპყრო თვალები. — მე მჯერა ცხოვრების კანონზომიერებისა. — ალბათ, ის ქალი მისთვის თავისებურად იყო საჭირო...

— როგორ — „თავისებურად?“ შენ როგორ გგონია?

— მე? — მარია ალექსის ასული არ ჩქარობდა პასუხს.

— ყოველთვის იგრძნობოდა, რომ იმ ქალს კარგად ესმოდა ამ ცხოვრების, ადვილად უღებდა მას ალღოს. ჩემთან კი ვიტია ერთ ადგილას გაიყინებოდა.

— რატომ?

— იმიტომ რომ ზომაზე მეტად ვგავდით ერთმანეთს.

რაისა ოსიპის ასულმა თვალები მოჭუტა და პაპიროსი მოქაჩა.

— გეყოს აფორიზმებით ცხოვრება და ღრუბლებზე ფრენა. დაუკვირდი ჩვეულებრივ, ადამიანურ ყოფას. მიხვდი, რომ ადამიანები ხან მშრალზე დადიან, ხანაც გუბეში დაატყაპუნებენ. აი, თუნდაც ჩემი ცხოვრება ვიქტორთან. თითქოს იდილიაა, არა? სახელი, უზრუნველი ცხოვრება, შესანიშნავი ბავშვები, მაგრამ ამ იდილიისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე ფრჩხილებითა და კბილებით ვიბრძო-



დი. შენ გგონია, ვიქტორი ასე უბრალოდ გახდა ჩემი მეუღლე? გგონია, შემთხვევით იყო მერხზე მესამე რომ მოგიჯექით? ჯგუფში ყველას ეგონა, რომ ვიტია ჩემზე შეყვარებული იყო. რატომაც არა! მე ხომ ყველაზე ლამაზი ვიყავი! მაგრამ მარტო სილამაზე როდია საკმარისი ისეთი კაცის გულის მოსაგებად, როგორიც ვიქტორია... ერთხელ, როგორღაც შევიტყვე ვიქტორი სელიგელის ტბაზე სათევზაოდ აპირებს გამგზავრებასო, დავადე თავი და დაუპატიჟებლად მეც მასთან გავეშურე. რა დროს თავმოყვარეობა იყო, მის კარავში გავჩნდი. იმ გაზაფხულზე ვერ იყო გუნებაზე, ყველაფერზე ბრაზობდა. ჩემს დანახვაზე გაეცინა: — „აქ რა გინდა, შე ვაშლო, შენაო“ — ეს რატომღაც ენამახვილობად მიაჩნდა. ასე იყო თუ ისე, ერთი კვირის შემდეგ მაინც დამნებდა. მოსკოვში დაწყვილებული ჩამოვედით. მაგრამ, გავიხედე, სულ მალე ისევ მოიწყინა, გადაკრულად რომელიღაც თავის სიყვარულზე დამიწყო ლაპარაკი. მე კი უიმისოდ ცხოვრება აღარ შემეძლო. გესმის, აღარ შემეძლო. ბედიც რომ მწყალობდა. საცაა შვილი უნდა შემძენოდა! რას იზამდა, წავედით და ხელი მოვაწერეთ. გულზე მომეშვა. ისიც თითქოს მოლბა. ნატაშას დაბადებამ ხომ კიდევ უფრო შეგვაკავშირა. ამ დროს მისი წარმატებებიც დაიწყო, მისმა პროექტმა პირველი პრემია მიიღო: მე მას მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმენი. მგონი, ახლა ჩემიც უკეთ ესმოდა. მხოლოდ ხანდახან ცოცხლდებოდა წარსული. გავიღვიძებდი, გვერდით კი არავინ იწვა. იჯდა იმ სავარძელში და პაპიროსს აბოლებდა... „რა დაგემართა, ძვირფასო!“ — ვკითხავდი. ის კი მიპასუხებდა — „არაფერი... ვფიქრობო“. ყველაფერი ეს საშინლად მტანჯავდა. თვალყურის დევნება დავუწყე და ერთხელაც ვხედავ, დაიწყებია წერილის ბოლო ფურცლის კონვერტში ჩადება. ის ხომ საერთოდ დაბნეული იყო! ვკითხულობ... დასაწყისში თითქოს ისეთს არაფერს წერდა. ჰყვებოდა ქალაქ-ბაღის შესახებ თავის ჩანაფიქრზე, ზედ ზღვის პირად რომ აპირებდა გაშენებას. უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში ამ ამბებით ძალიან გატაცებული იყო. არქიტექტურის ისეთ წვრილმანებს ეხებოდა, — ეტყობოდა ის ქალიც მისივე პროფესიისა იყო. ვიტია მისი კრიტიკისაგან იცავდა ჩრდილოეთის კომპლექსს. ამ კომპლექსმა, რა თქმა უნდა, ვერ გაიმარჯვა, რასაც ვიტია, შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა. ჩემთვის ყველაზე საშინელი ბარათის დასასრული გახლდათ: „სამუდამოდ შენი“, გესმის? — სამუდამოდ!

— ალბათ, შეეცადე გარკვეულიყავი, რაში იყო საქმე?

— ღმერთმა დამიფაროს! განხეთქილებისათვის მიმეცა საბაბი?! როგორც ყოველთვის, ღიმილით შევხვდი. შევეცადე მის საქმეებში გავრკვეულიყავი, ოღონდ არა კრიტიკის თვალსაზრისით. ასე გასინჯე, ამ საკითხზე რაღაცეებიც კი წავიკითხე, ჩემი ნიჭიერების ამბავი ხომ მოგეხსენება! ვიცოდი, შემოქმედი კაცისათვის რას ნიშნავდა მხარდაჭერა! უსაყრდენო გადახურვები და ფრიზები ყელში ამოდიოდა, მაგრამ რას იზამ, უნდა მომეთმინა! მაშინ იყო ლარისას გაჩენა რომ გადავწყვიტე, სამი შვილის მამა სადღა გაიქცეოდა. ასე არ არის?

— კი, მაგრამ, იქნებ თვითონ ისინი შეთანხმდნენ ოჯახი რომ „არ დაენგრიათ“?

— აბა, რას ამბობ! გესმის რა, შენც ცხოვრებისა რამე! — რაისა ოსიპოვნამ ირონიულად გაიცინა: — მართლაც რომ კისელი ხარ!

— ცხოვრება... — კისელევა ფანჯარას გაჰყურებდა დაჟინებით. ჩამავალი მზით ნაშუქარ ლიმონისფერ ცაზე კუშტად მითარეშობდნენ ღრუბლები. სიახლე, სილაღე და მკაცრი მხიარულება ავსებდა სულს...

— არ არის საკმარისი მარტო ცხოვრების ცოდნა, საჭიროა ღრმად შეიცნო, ჩასწვდე მის არსსა და მამოძრავებელ ძალას!

კისელევამ ფართო, მამაკაცური, მაგრამ მსუბუქი ნაბიჯებით ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ცხოვრება გაძნელდა. ჩვენ ახლა დღემდე ჩვენთვის უცნობ სამყაროში აღმოვჩნდით. უფრო სწორად, თვით ჩვენში წარმოიშვა იგი. სულ უფრო და უფრო შორსა და ზევით მივიწევთ. წინ კი უსასრულობაა. განა აუცილებელია ოსტროვსკის, შჩედრინისა და ჩეხოვის დროინდელი ზედმეტი ბარგი ვატაროთ? ვიმეოროთ ადამის დროინდელი კოლიზიები? სახლი, ოჯახი, ცოლი, გვერდზე კი საყვარელი. მთავარია, არავინ გაიგოს და წესიერების ფარგლებს არ გასცდეს! — ქალმა ბრაზიანად ჩაიცინა. დიასახლისმა ოდნავი შიშით შეხედა და წუთით სრულიად უცხოდ მოეჩვენა იგი.

— კარგად ვიცი, მეტყვი, ზოგჯერ ტყუილიც საჭიროაო. ასეცაა! სასიკვდილოდ განწირულს არასოდეს ეუბნებიან კიბო გაქვს და დღეს თუ ხვალ მოკვდებიო. მაგრამ, ნუთუ ძლიერ, თავისუფალ ადამიანებსაც სჭირდებათ თავის მოტყუება?

— კარგი, დავუშვათ, ასეა. — წყნარად წარმოსთქვა რაისა ოსიპის ასულმა, — მაგრამ განა გინახავს ისეთი ცოლ-ქმარი არასოდეს რომ არ ეღალატოთ ამ სიმართლისათვის?

— რა თქმა უნდა. მაგრამ საქმე ისაა მოჩვენებით კი არა, ნამდვილად ბედნიერი იყო! მთელ წარსულს არარად ჩავთვლიდი, როდისმე რომ გამეგო, რომ კაცს, რომელსაც მეგონა ვუყვარდი, თურმე არასოდეს ვყვარებივარ!

— ვხვდები საითკენაც უმიზნებ, — ნელა წარმოსთქვა რაისა ოსიპის ასულმა. — კაცმა რომ თქვას, შენ რატომ უნდა მელაპარაკებოდე ასე? განა შენ ჩემსავით გიყვარდა? ბინა, ავეჯი... ხომ არ გგონია ასე იყო ყველაფერი? მე გადავიტანე ვიქტორთან ერთად გაჭირვება, წარუმატებლობა! ავადმყოფობას ხომ ნუღარ იკითხავ! იცი რა არის უძილო ღამე, როცა მეორე ადამიანის ყოველ ამოსუნთქვას უგდებ ყურს?... ყველას ძალიან ძლიერი ეგონა ვიტია, მე კი მასში მხოლოდ ბავშვს ვხედავდი, ნამდვილ ბავშვს! რას არ ვაკეთებდი მისი გულისათვის. ხედავ რა კარგად გამოვიყურები, — ეს ხომ მუდმივი ვარჯიშის, მასაჟის და დიეტის შედეგია. რისთვის ვაკეთებდი ყოველივე ამას? ვცდილობდი სასურველი ცოლი და საყვარელი დედა ვყოფილიყავი! ღმერთო ჩემო, განა შენ შეგიძლია გამიგო ყოველივე ეს?

რაისა ოსიპის ასული სავარძელზე მოწყვეტით დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და ერთბაშად აქვითინდა.

— დიახ, მესმის და კიდევაც ვაფასებ ამას შენში... — კისელევამ ნაზად მიუალერსა თმაზე.

ერთხანს იტირა, სული რომ მოითქვა, რაისა ოსიპის ასულმა უკვე საქმიანი და მზრუნველი ხმით განაგრძო:

— იცი, ყველაზე მეტად რა მაწვალებს... ვიტიას შესახებ მონოგრაფიას წერენ. წარმოიდგინე, მისი სკოლის რვეულებიც კი წაიღეს. როგორც კი წარმოვიდგენ, რომ მისი წერილები ვიღაც ქალთანაა, ძილი მიკრთება, მადა მეკარგება და სუნთქვა მიჭირს! „სამუდამოდ შენი“ ან „მარად ძვირფასი“, გესმის რად მიღირს ეს სიტყვები! რას არ მივცემდი, სხვისი ხელიდან რომ გამომეგლიჯა. იურისტსაც კი მივმართე. რაც უნდა დამიჯდეს, უკან არ დავიხევ.

— იმ ქალმა რომ არ დაგითმოს!

— ეს შეუძლებელია! ნამდვილად ვიცი, ვიქტორთან ისეთი არაფერი აკავშირებდა. რაც მთავარია, არა მგონია ქონება თავზე გადადიოდეს...

— რა იცი, იქნებ უსასყიდლოდაც მოგცეს?

— რატომ უსასყიდლოდ?

— თუნდაც იმიტომაც, რომ შენს ტანჯვას გაიგებს.

— შენ გგონია, ნებით იტყვის უარს დიდი ადამიანის ბიოგრაფიაში მოხვედრაზე, ქალური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაზე?

— იქნებ პატივმოყვარე არ არის? სიმართლე ხომ მაინც მასთან დარჩება. განა ეს ნამდვილი ადამიანური სიამაყის უშრეტი წყარო არ არის? — მაღალმა ქალმა ჯიქურ შეხედა რაისა ოსიპის ასულს. უცებ ამ შავმა, ლამაზმა, მოუსვენარმა თვალებმა იხილეს, როგორ განსხეულდა ის უსახო აჩრდილი, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ არ ასვენებდა. აი, ვინ, თურმე ვინ აწვალებდა სელიგერის ტბაზე, კარავში, ეტყობა, ვიქტორს მაშინაც ეს აჩრდილი დასტრიალებდა პაპიროსს რომ აბოლებდა განმარტოებული, აგონიისაგან შეფიცხებული ტუჩებით ვიღაცა ქალის სახელის წარმოთქმას რომ ცდილობდა. მაშინ რაისა ოსიპის ასულს მოეჩვენა, ვიღაც დაშას უხმობდნენ მისი ტუჩები... შეშლია! სულ სხვა ყოფილა პირველი ასო!

ამ დროს მაღალმა ქალმა დიდი პორტფელი გახსნა. მისთვის დამახასიათებელი უხერხული მოძრაობით გულმოდგინედ შეკრული წერილების სქელი დასტა ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო.

— ყველა წერილი აქ არის, არც ერთი არ აკლია, აიღე.

თარგმნა ჯულიეტა ნუცუბიძემ

**საყოფაცხოვრებო მომსახურების წარჩინებულნი**

# მთავარია მიზანი, ნებისყოფა...

მის გამოჩენას მუდამ ინტერესით ელოდა მაყურებელი...

საინტერესო, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული იყო ყოველი მისი როლი. დღეს თუ კოჩარინის „ბრმა მუსიკოსში“ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ელინას სახით წარუდგებოდა მაყურებელს, ხვალ კაროჟნად იქცეოდა ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებში“, მერე უეცრად მიამიტ და სათნო თინად გარდიქმნებოდა კულიჩენკოს „აყვავებულ ბაღში“, ხოლო „პატარა კახში“ მაღალი პატრიოტული გრძნობების გმირ ქალად ევლინებოდა მათ.

მაყურებელთა ტაში დიდხანს არ წყდებოდა გაგრის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ხაშურისა თუ გორის თეატრების დარბაზებში...

მარტო გეგეჭკორის რაიონში 460 წარმოდგენასა და 73 ანტიფაშისტურ სალამოში მიიღო მონაწილეობა ნინო აგლაძემ.

სულ უფრო შინაარსიანი და წარმატებების მომტანი ხდებოდა ყოველი დღე, მაგრამ... საავტომობილო კატასტროფამ სამუდამოდ გამოათხოვა სცენას ნიჭიერი მსახიობი.

უჭირდა ახალგაზრდა მსახიობს თეატრთან, მაყურებელთან განშორება, მაგრამ ძლიერმა ნებისყოფამ თავისი გაიტანა, და აი, მალე მან ახალი პროფესიაც აირჩია. რა უბრალო პროფესიისაც არ უნდა იყო, საქმის ერთგულებითა და სიყვარულით ყოველთვის მოიპოვებ ადამიანთა პატივისცემას. — მტკიცედ იწამა ეს უბრალო ჭეშმარიტება ნინომ და შემოქმედებითი ცხოვრება, სიახლის ყოველდღიური ძიება კვლავ გაგრძელდა; ოღონდ, ამჯერად „კულისებში“.

ნინო აგლაძემ ერთი შეხედვით იოლი, მაგრამ საკმაოდ პასუხსაგები პროფესია — ქალთა თავსაბურავების კერვა აირჩია. საუცხოო მხატვრული ნიჭი, დახვეწილი გემოვნება, თეატრიდან შესისხლხორცებული ალღო და ფართო დაკვირვების უნარი დაეხმარა მას კვლავ ახლო მისულიყო ადამიანებთან, განსაკუთრებით პრეტენზიულ და მომთხოვნ მომხმარებელთან — ქალებთან. ამ სარბიელზეც დიდ წარმატებებს მიაღწია ნინომ, აქაც გაიმარჯვა; მუყაით შრომას თან მოჰყვა უამრავი მადლობა და ჯილდო. მედალს — „1941-1945 წლების, დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“ მიემატა ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედალი, სულ მალე ნინომ მკერდი დაიმშვენა „საყოფაცხოვრებო მომსახურების წარჩინებულის“ საპატიო ნიშნით, კეთილსინდისიერი შრომით მოიპოვა პირველი კლასის ოსტატის საპატიო სახელი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის წოდება, 1974 წლის 13 თებერვალს კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ასე დაუფასდა ნინო აგლაძეს საყოფაცხოვრებო მომსახურების № 40 კომბინატში გაწეული ამაგი.

ახლისაკენ სწრაფვისა და ძიების დიდმა სურვილმა შეაქმნევინა მას 32 ახალი მოდელი; განსაკუთრებული ორიგინალობით, სილამაზითა და გემოვნებით გამოირჩევა მის მიერ შექმნილი ბავშვის ჩალის ტანსაცმლის ანსამბლი, ქალის ზამთრის, საზაფხულო და საზღვაო ქუდები, აბრეშუმის, ჩალის ტანსაცმლისა და ქუდების ანსამბლები. მის მიერ შემუშავებული მოდელები დემონსტრირებულია გასაყიდად — „პირიმზესა“ და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებში.

ადვილად სწვდება ნინო ყველა კლიენტის გემოვნებას, ხასიათს, მისწრაფებას, სწავლობს სახის კონტურებს, აკვირდება პროფილს, მთლიან აღნაგობას და მხოლოდ ამის შემდეგ ურჩევს მომხმარებელს თავსაბურავის ფასონს. ამიტომაა მასთან მუდამ ხალხმრავლობა, ამიტომაა ნინო აგლაძე ყოველთვიურ გეგმას დიდი გადამეტებით რომ ასრულებს. 1975 წლის გეგმა მას უკვე განაღდებული აქვს და ახლა 1976 წლის ანგარიშში მუშაობს. უთუოდ ნინოს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ კომბინატმა გასული წლის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, ხოლო ათი თვის გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

კომუნისტური შრომისა და პირადი ინიციატივის უამრავ მაგალითებს იძლევა კომბინატში ნინო აგლაძე. მის წამოწყებას მუდამ მხარს უჭერს და პრაქტიკულ დახმარებას უწევს კომბინატის დირექტორი ნელი ლომთაძე. კომბინატში ნინომ ახლახან შექმნა 4-კაციანი ბრიგადა. ბრიგადამ უკვე აითვისა მომსახურების ახალი სახე — ცხვირსახოცების, მანჟეტების, საყელოს, ბალიშისა და მუთაქისპირების მხატვრული კემსვა, რომლის საუცხოო ოსტატიცაა ალექსანდრა ასტახოვა. ოთხკაციანი ბრიგადა მომავალში ბევრს ახალს ჰპირდება მომხმარებელს...

კარგა ხანია სამუდამოდ დაიხურა თეატრის კარები ნინო აგლაძისათვის, მიწყდა და წარსულს ჩაბარდა მაყურებელთა ტაში, მაგრამ მისი ნახელავით კმაყოფილ ადამიანთა მადლიერებით სავსე ღიმილი მაყურებელთა ღიმილზე ნაკლები ჯილდო როდია მისთვის.

ციცანა -ნადირაძე

---

მორის ფოცხიშვილი

# ლალი მიქავა

ქართველი ქალი ფორტეპიანოსთან.

ნინოსა და ეკატერინეს აჩრდილები სადღაც დარბაზის უხილავ სივრცეში გარინდულან თითქოს... ოცდაერთი წლის ტატო ბარათაშვილი კი კვლავ გატაცებით ჩურჩულებს:

„ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს...“

სუნთქვაშეკრული და სმენადქცეული ემორჩილები ფიქრს და ოცნებას, — ბახსა და შოპენს, ბრამსსა და მენდელსონს. — „მისი უმაღლესობა“ — მუსიკა გაჯადოებს და გატყვევებს უხილავი ძალის კეთილშობილებით.

უკრავს ლალი მიქავა!

ჩვენს ხალხს აქვს ერთი შესანიშნავი კომპოზიტი — „გულისყური“, რომელიც საოცარი სრულყოფილებით გამოხატავს მუსიკის მოსმენის ნიჭისმქონეთა დიდ ხელოვნებას, რომლის არსებობა ისევ და ისევ ადამიანის უზენაესობას ადასტურებს.

სწორედ ამ დიდი და ჭეშმარიტი მუსიკისათვის იმსჭვალები მადლიერებით ქართული მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების, კონსერვატორიის პედაგოგებისადმი, რომელთა უშუალო წვითა და რუდუნებით რესპუბლიკაში იზრდებიან მუსიკოსები, რომელთა ხელოვნება სიკეთისა და სიყვარულის მოძღვრებად სახიერდება ჩვენს პლანეტაზე, სადაც ტექნიკისა და „ცივი ცივილიზაციის“ ეპოქაში ბევრმა სახელმწიფომ „საარქივოდ განაწყო“ კლასიკა.

მინდა მივულოცო ახალგაზრდა ლალი მიქავას წარმატება!

იგი ნათელი და კეთილად მოაზროვნე ხელოვანია. ძლიერი გზნებით მოაქვს დიდი მუსიკა, ხალასი ნიჭის წყალობით რომ შლის „ხავერდოვან“ ბარიერს ინსტრუმენტსა და მსმენელს შორის.

გული გწყდება, რომ თანამოქალაქეთაგან ყველა არ ესწრება ამ ზეიმს. არა და არაფერი არ მეორდება. საფორტეპიანო კონცერტი კინოფილმი არ არის, სეანსებად რომ გაიმეორო. იგი მომხიბლავია სწორედ ამ განუმეორებლობით. შესაძლოა დაუკრა უკეთ, ან უარესად, მაგრამ განმეორებით არასოდეს განმეორდები.

კვლავ უფრო გაბრწყინებული გვენახოს მაღალი ხელოვნებით შეპყრობილი ქართველი ქალი ფორტეპიანოსთან!.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დალი ჯაფარიძის ოცნებები

როდესაც მის ოთახში პირველად შევაბიჯე, თავიდანვე მოვიხიბლე: კედელზე უამრავი სხივიანი ნახატი ეკიდა და აღარ ვიცოდი რომლისთვის შემეხედა. მაგიდაზე უცნაური ფარანი ენთო — იაპონელი ქალებით მოხატული, ასეთი რამ ჯერ არსად მენახა. „მე ვაკეთებ ხანდახან", — ჩუმად გამანდო მასპინძელმა.

მას დალი ჯაფარიძე ჰქვია. მაღალი, გამხდარი, ახალგაზრდა ქალია. საუბრის დროს შუბლზე ჩამოშლილ თმებს მალიმალ ისწორებს.

თუმცა პროფესიით მხატვარი არ არის, ზოოვეტერინარული აქვს დამთავრებული, მაგრამ თავისდაუნებურად რაღაც ეწევა და აიძულებს, რომ ხატოს, ხატოს შეუსვენებლად.

პირველი ნახატი ახლაც ჰკიდია მისი ოთახის კედელზე: „მზის ჩასვლა" ჰქვია. ბავშვობაში მოსმენილ რომელიღაც ძალიან აბლობელ ზღაპარს მაგონებს-მეთქი. გამეხარდა, როცა თითქმის იგივე წავიკითხე შთაბეჭდილებათა წიგნში:

— „თქვენმა ფერებმა ჩვენი ბავშვობის ათასფერი სამყარო გაგვახსენა. თბილი, მყუდრო და ნაზი". — წერდა ვილაც. შთაბეჭდილებათა რვეული იყო დალი ჯაფარიძის პერსონალური გამოფენიდან, რომელიც ხელოვნების მუშაკთა სახლში 1972 წლის მაისში მოეწყო. პირველი გამოფენა კი 1970 წელს შედგა და პირველივე გამარჯვება მოუტანა. მერე მოეწყო თვითნასწავლ მხატვართა მოძრავი გამოფენა თბილისსა, ბაქოსა და ერევანში. კვლავ გამარჯვება. კვლავ მადლობა. მისი ორი სურათი „გზაზე" და „ქართული ხალხური პოეზია" ახლახან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირის თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაზე იყო წაღებული.

ჩემს პირდაპირ პატარა ბიჭის პორტრეტია, იებით ხელში. მხრებში ოდნავ მოხრილი, თმაქოჩორა ბიჭი, ლურჯი ჯემპრიდან დაუდევრად ამოწეული საყელოთი, თვალებდახრილი დასცქერის მოიისფრო-მოთეთრო პატარა ყვავილებს. უცქერი სურათს და გრძნობ, თუ რა დიდია ამ ბიჭის სასოება და გაოცება ბუნების სიმშვენიერით. ეს ერთგვარი სიმბოლოა თითქოს, წინა პერიოდია ადამიანის გასხივოსნებისა, ამაღლებისა.

დალი ჯაფარიძის ყოველი სურათი მისეულია, მისი სულისმიერი. ბუნება, ადამიანები თუ საგნები მხოლოდ მისი თვალითაა დანახული. მის არსებაშია გაწონასწორებული, შეფერადებული და შემდეგ ტილოზე გადატანილი. მხატვარი თითქოს სევდანარევი ღიმილით გასცქერის გარემოს, მაგრამ ეს სევდა უაღრესად ქალური, უშუალო, თბილი და ლირიკულია.

წითელპერანგა ქალიშვილი მობრუნებულა თქვენკენ, შემოგცქერის დიდი, ფიქრიანი, ლამაზი თვალებით და თითქოს იმ პაწაწინა ყვავილს გიწვდისო, ხელთ რომ უპყრია. თან, თითქოს, შენგანაც ელის რაღაცას. მის წინ კი გზებია და უსასრულობა, მწიფე თავთავებით ჩაყვითლებული. ეს მოლოდინი, ეს შემკითხავი გამოხედვა, გაფორიაქებენ და დაგყვებიან სურათიდან სურათამდე...

ინტიმურობისა და სიწმინდის ძიება იგრძნობა ყოველ მის პეიზაჟსა თუ პორტრეტში.

მხატვრის ზოგიერთი სურათი რომელიღაც ლექსის, რომელიღაც სტრიქონს მოგაგონებენ. ზოგიერთი კი უშუალოდ ლექსის მიხედვითაა შექმნილი. ანა კალანდაძის „ბეთანიის გზაზე", თუ უოტ უიტმენის „სკვო", „იაპონური ტანკები" და კიდევ ბევრი სხვა აღიქმება როგორც ერთი მთლიანი მუსიკა განწყობილებისა და ხასიათებისა. სულ უბრალო დეტალით ათბობს და აფაქიზებს სურათს მხატვარი, სულ უბრალო მონასმით სიმყუდროვეს მატებს ფერებს.

დალი ჯაფარიძის ნახატები ლამაზ ოცნებას გვანან, ქალური კდემით განათებულ ოცნებას.

ირაკლი აბაშიძეს შთაბეჭდილებათა რვეულში ასე ჩაუწერია: „დალი ჯაფარიძეს გზა დავულოცოთ, წინ, გამარჯვებისაკენ, ჩემო დალი!.."

...ჰოდა, მართლაც წინ, დალი ჯაფარიძის ოცნებებო!..

**მანანა თევზაძე**



ბიჭუნა იებით



ჩემს მილმა



ამოდის მზე



გაზაფხული



იაპონურ მოტივებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ფრონტელი მეგობრებისა

1969 წლის ნოემბერში, სოლომონ (სულიკო) გიორგის ძე რაზმაძემ ხალხმრავალი წვეულება გამართა ოჯახში; ნათესავებს, მეზობლებსა და მეგობრებს გააცნო სანუკვარი სტუმრები — სამამულო ომის ფრონტზე შეძენილი მეგობარი, მოსკოველი ფეოდორ მიხეილის ძე პავლოვი, მეუღლითურთ.

ლამაზია ქართული ლხინი, გულწრფელი და გულუხვია სუფრა, თავისი ტრადიციული თამადით, სადღეგრძელოებით. დიდებულია ასეთი შეკრება, რასაც მხოლოდ ურთიერთ პატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა უდევს საფუძვლად... აი, თამადამ მასპინძლისათვის ღვიძლ ძმასავით საყვარელი სტუმრის ფეოდორ პავლოვის და მისი ოჯახის სადღეგრძელო წარმოსთქვა. მღელვარებით უამბო მაგიდის წევრებს მათი შეხვედრის, მეგობრობის, ფრონტული ცხოვრების და ომის შემდგომ მათი ოჯახების ურთიერთობის ამბავი; რაზმაძეების უპირველესი მასპინძელი მოსკოვში ფეოდორის ოჯახია. აქ კი, თბილისში, ლენინის ქ. № 1-ში ეგულებათ პავლოვებს ძმასავით საყვარელი სულიკო რაზმაძე.

სამადლობელ სასმისს ფეოდორი იღებს ხელში, იღებს მაგრამ... კარგახანს მდუმარედ დგანან ეს შესანიშნავი წყვილი ორი შესანიშნავი ერისა — რუსი და ქართველი. სულიკო საშუალო ტანის, შავგვრემანი, შავი ცეცხლოვანი თვალებით, ჭაღარა, უკან გადავარცხნილი თმით, საცქერად საამო. ოდნავ ქერა ფეოდორი მთელი თავით მაღალია სულიკოზე. გაშლილი ვაჟკაცური ბეჭებით, დიდი ცისფერი თვალებით; სიკეთე და სათნოება დასთამაშებს სახეზე. დგანან უსიტყვოდ და ღიმილით შესცქერიან ერთმანეთს, თითქოს იმ წამს მოგონების თვალით გადახედეს უკან დარჩენილ ცხოვრების გზას, გზას ბრძოლით განვლილს სამამულო ომის ქარცეცხლში, ამ ცეცხლმა გამოაწრთო მათი მეგობრობა, სამუდამოდ დააკავშირა ერთმანეთს. პირველი ფეოდორი გამოერკვა, თვალი მოგვავლო შეკრებილთ, და ღიმილით მოგვმართა: მოსკოვიდან თბილისში, მონატრებული ძმის შესახვედრად მოვიჩქაროდი. რა თბილი და მშობლიურია ჩემთვის ეს ქალაქი. რა რიგ შემიყვარდა საქართველო, სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი; მინდა რომ ყველასა და ყველაფერს ამ დალოცვილი მხარისას, ჩემს გულში მარადი ადგილი ჰქონდეს. სულიკო ჩემთვის ერთადერთი ძმაა; საიმედოა და გამოცდილი ჩვენი მეგობრობა. ერთად განვლილი საბრძოლო ცხოვრებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევას მოგიყვებით: 1941 წლის შემოდგომაა, მოსკოვის დაცვაში ვიმყოფებით, მიღებული გვაქვს ცნობა, რომ მტერი იმ ადგილის აღებას აპირებს. სადაც ჩვენ ვდგავართ. აქ, ამაღამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაგვხდება. მიღებულია ყოველი ღონისძიება. სრულ მზადყოფნაში ვართ და სუნთქვაშეკრული ველოდებით მტრის იერიშის დასაწყისს, მტრის უკუგდებას. ვეძახი ამხანაგ რაზმაძეს და ვავალებ, წავიდეს ამა და ამ ადგილზე და გადასცეს ცნობა ჩვენი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ, წავიდეს, რაც შეიძლება სწრაფად... სულიკომ შემომხედა, თითქოს რაღაცის ამოცნობას აპირებდა ჩემს სახეზე და, მერე თავი გააქნია — არა, ამხანაგო უფროსო, ამაღამ არა, ხვალისათვის გადავდოთ. „მე, როგორც უფროსი, გიბრძანებ დაუყოვნებლივ-მეთქი!" თქვენ, როგორც უფროსს, უფლება გაქვთ დავალების შეუსრულებლობისათვის საბრძოლო მდგომარეობის გამო, იარაღი მესროლოთ კიდეც, მე კი... ამ დავალებას მაინც ვერ შევასრულებო, მიპასუხა სულიკომ. რაკი ბრძანებითაც ვერაფერს გავხდი, თავი ველარ შევიკავე და გავუმხილე — ამაღამ აქ ისეთ ბრძოლას ვაპირებთ, ხვალისათვის შეიძლება ამბის გამტანიც აღარ დარჩეს, ამიტომ გთხოვ წახვიდე ამ დავალების შესასრულებლად, ამით შეიძლება სიკვდილსაც გადარჩე... ჩვენ ხომ მხოლოდ ოცდაერთი წლისანი ვართ, შენ საქართველოში გელოდება დედ-მამა, ძმა, საცოლე, ნათესავები, არ მინდა, ჩემო მეგობარო, შენზე იტირონ და როგორც წესი შავები ჩაიცვან; მე თუ ამაღამ სიკვდილი მიწერია, ჩემზედ მაინც არავინ ატირდება, ერთი საბავშვო სახლში გაზრდილი ბიჭი ვარ, სამშობლოს წინაშე კი ვალმოხდილი ვიქნები! სოლომონ გიორგის ძემ თვალი თვალში გამიყარა და მიპასუხა: ვინც ქართველთა ეს წესი გითხრა, ისიც რატომ არ გითხრა, რომ ქართველი კაცი მეგობარს განსაცდელში არ მიატოვებს! დღეიდან მე ვარ შენი ძმა, ჩემიანები ჩვენი გადარჩენით ერთად გაიხარებენ, დავიღუპებით და ერთად გვიგლოვებენო. ერთმანეთს გადავეხვიეთ და უსიტყვოდ მივეცი ძმობის ფიცი... მას შემდეგ საბოლოო გამარჯვებამდე ერთად ვიბრძოდით და ხედავთ, სალხინოთაც თქვენს წინაშე ისევ ერთად ვიმყოფებით...

ერთი წლის შემდეგ, 1970 წლის შემოდგომაზე, საჩხერიდან თბილისში ჩამოვედი. სულიკოს ოჯახიც მოვინახულე. მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო, ფეხის ხმაზე თავი ასწია, შემომხედა და ნაღვლიანად შემომჩივლა: — ეს არის მოსკოვიდან ჩამოვედი, ფედიას დაკრძალვას დავესწარი. გულის ინფარქტით, სამსახურში თავის კაბინეტში გარდაცვლილიყო... ჩემი გული კი გადაიტანს? — მკითხა მწარე ღიმილით.

1974 წლის აგვისტოს ერთ დილას ვერც მან გაიღვიძა... თითქოს მეგობრის ბედი გაიზიარა გვარდიის კაპიტანმა, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერმა — სოლომონ გიორგის ძე რაზმაძემ... ისიც გულის ინფარქტით დაიღუპა.

შესანიშნავო ვაჟკაცებო, თქვენ და არ დაგრჩენიათ. მე ვარ თითქოს თქვენზე მგლოვიარე და, მთელი სიცოცხლის მანძილზე შევინახავ თქვენს მშვენიერ ხსოვნას. მე ავიღებ ერთ მუჭა მიწას თქვენი სამარიდან და გულზე მოგაბნევთ, მარადიული ძმობის სიმბოლოდ, მე თავად ქვრივი ვარ ჯარისკაცისა, მჯერა ჩემს მეუღლესაც ჰყავდა ფრონტელი მეგობარი, და ვინ იცის, ბრძოლის ველზე ერთად დაღუპულნი, ახლა ერთ საძმო სამარეში წვანან... ათეული წლები გვაშორებს იმ დღეებს, მაგრამ დროის საზღვარი არ არსებობს ფრონტული მეგობრობისათვის.

ლიდა ჩხაიძე-დურმიშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიკეთით სავსე გული

ჭერმაღალ, ქათქათა ოთახში წამლების სუნი დგას. სანდომიანი სახის ქალი მთელი გულისყურით რეცეპტს კითხულობს. მან კარგად იცის, ოდნავ უყურადღებობას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ფარმაცევტმა თამარ მხეიძემ თავისი პირველი შრომითი ნაბიჯები ქუთაისის № 1 აფთიაქში გადადგა. ხუთი წელი დაჰყო მან სავარდო და სამაისო ქუთაისში, შემდეგ კი თბილისის № 17 აფთიაქში რეცეპტორ-კონტროლიორად დაიწყო მუშაობა.

1938 წელს თამარი ბორჯომში მიავლინეს, ლიკანის სანატორიუმის აფთიაქის გამგედ...

მერე კი ომი იყო, დიდი და ძნელი ომი... ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმული თამარი № 1563 ევაკოჰოსპიტალის აფთიაქის უფროსად დაინიშნა.

— მატარებელს დაჭრილი ჯარისკაცები ჩამოჰყავდა — იგონებს თამარი, — მათი კვნესა-წუხილი დიდპატარას გულზე ისარივით გვესობოდა. ექიმებს, ექთნებს, ფარმაცევტებს დაძაბული, მოუსვენარი დღეები გვედგა. ეშელონის მოლოდინში ტანთგაუხდელად გვეძინა...

გამარჯვება თამარმა „კეჩხობის" ევაკოჰოსპიტალში იზეიმა. მალე თამარი წყალტუბოში, № 2452 ევაკოჰოსპიტალის აფთიაქის უფროსად გადაჰყავთ.

...პალატებიდან ჯერ კიდევ ისმოდა ნაიარევი ჯარისკაცების კვნესა. აწგანსვენებული ექიმი ეკ. ჩაჩიბაია, ექთან ქ. გურამიშვილთან, ვლ. კიკნაძესთან, ჰოსპიტლის უფროს კ. კობახიძესთან ერთად ძალღონეს არ იშურებდა ომგადახდილთა დასახსნელად.

უკვე 30 წელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი თ. მხეიძე საბაზო სანატორიუმ „დრუჟბას" აფთიაქის გამგეა. ამ სამკურნალო დაწესებულებამ ბოლო წლებში სახე იცვალა, კეთილმოეწყო.

„დრუჟბას" მრავალრიცხოვან კოლექტივში თამარი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

თამარ მხეიძე ოთხი ათეული წელია უანგაროდ ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. არასოდეს აჰყოლია მომხვეჭელობის ცდუნებას.

სიკეთით სავსე გულის სითბოს თამარი თანაბრად უნაწილებს ყველას, ვისაც იგი სჭირდება.

შოთა გენძეხაძე

ლილი ნუცუბიძე

## მამულო, შენზე ფიქრი

ღამეს რომ გამათევინებ,
ცრემლებს რომ დამაღვრევინებ,
ღრუბლით გაჯანღულ ზეცაზეც
ვარსკვლავებს დამათვლევინებ,
რომ დამავიწყებ ყველაფერს
თავზე ხელს ამაღებინებ,
სალს კლდეებსა და ქიუხებს
ფეხშიშველს დამარებინებ,
უბეს ნაკვერცხლით ამივსებ,
გულს სანთლად ამანთებინებ,
ხან სიყვარულში დამახრჩობ
და ხანაც გამანებივრებ.
პირჯვარის წერით გახსენებ,
თუ ითქმის, შენზე ითქმის,
ძილშიაც რომ არ მასვენებს
მამულო, შენზე ფიქრი!..

* * *

შენი ცა,
ასე რომ ათინათობს
და ანგელოსებს
ატარებს ეტლით...
ოღონდ ავინთო,
რომ გაგინათო
და მერე ფერფლად
გადვიქცე შენთვის!

* * *

დიდი ქუჩები,
ფიქრის ქილიკი,
ათასნაირი
სიჭრელე ფერთა,
მე სხვა არ მინდა —
შენი ბილიკის
კეთილი მგზავრი მერქვას.

შალვა ჩირაძე

## დედაშვილობა

კვლავ ის მაცოცხლებს,
მე აქამდე რამაც მაცოცხლა.
შენს სამარეზე
ჩემი ჩრდილი ისევ დაცოცავს.
ოჰ, დამიჯერე,
დამიჯერე დედაშვილობამ,
რომ არ ხორცდება
შენი ხსოვნის ღია ჭრილობა.
მე კარგად ვიცი,
შვილზე ფიქრიც იქ ჩაგყვა ჯავრად,
ანთია შენი მწუხარება
ფოსფორულ ჭავლად...
არდავიწყება, დედავ შენი,
მოჩქეფს ცხრა წყაროდ,
მშობელო, შვილის სიყვარულით გაუმაძღარო.
შენმა პირჯვარის გადასახვამ,
ლოცვამ მაცოცხლა,
ხსოვნის მაღლობზე
ჩემი ჩრდილი ისევ დაცოცავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მხატვარი დ. ერისთავი

ბენო კონჯარია

# ქმარიც ამას ჰქვია!

იუმორესკა

ზღვისპირა ქალაქში ვისვენებდი. ერთ საღამოს დიდი ხნის უნახავ სკოლის ამხანაგს შევხვდი.

— ირაკლი ხარ? — ვკითხე, თან ხომ არ ვცდები მეთქი-გავიფიქრე: გამხდარი ახალგაზრდა კაცი იყო ამ ოცი წლის წინათ, ახლა კი ჭიპქვეშ ამოდებული ქამრის ზემოდან გიდელივით ეკიდა მუცელი.

მან ერთი ამხედ-დამხედა:

— კი ვარ... მაგრამ...

— პლატონი ვარ, ბიჭო!

— ოჰ! პლატონს ვენაცვალე... მიცანი ხომ? — მან ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა. — სულ არ გამოცვლილხარ, კი ხარ ისე წელში გამოყვანილი ოცი წლის ბიჭივით... გეტყობა, თავს უვლი!

ხახვისა და ღვინის შეზავებული სუნი მეცა. შევატყვე, რომ ნახუხი იყო. არაფერი ისე არ მეჯავრება, როგორც ნასვამ კაცთან ლაპარაკი, მაგრამ ამდენი ხნის უნახავ მერხის ამხანაგს ხომ არ გავექცეოდი! მან ხელკავი გამიკეთა, მოვიკითხე — რას აკეთებ, როგორ ხარ-მეთქი...

— რა დაგიმალო, აქამდე კი ვიყავი მაგრად, კაი სახეირო ადგილი მქონდა, მაგრამ, ხომ იცი, დრო გამოიცვალა... და მეც გამოვიცვალე ადგილი... ახლა კი ვჩირთიფირთობ რაღაცას. შენ ისევ პედაგოგი ხარ?

— ესაა ჩემი პროფესია.

— ჭკვიანი იყავი თავიდანვე, კი ხარ მშვიდად, დინჯად. ახლა ყველაფერს ჯობია, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ, ვიჭუკჭუკოთ, აგერ, „რიცაში“, — ხელი გაიშვირა რესტორნისაკენ.

მადლობა გადავუხადე. ვიუარე, არ ვსვამმეთქი... არაფრის დიდებით არ მომეშვა: უკადრისობ ჩემთან დაჯდომას თუ რავაა შენი საქმეო!

ძალიან არ მინდოდა, მაგრამ ვინ დამიჯერა! შევედით რესტორანში, ერთ კუთხეში მოვეწყვეთ... ახალგაზრდა ოფიციანტი მყისვე მოქვანქვალდა, გაიღიმა, გაიბადრა.

— ნატაშა, დუშენკა, პრინესი, გენაცვალე, რაც შენ გაგიხარდება და ოთხი „ჩხავერი“, — ჩაუჩურჩულა ირაკლიმ.

— ოთხი რად გინდა, ორიც გვეყოფა, — ვუთხარი. ვინ მოგისმინა! ცისფერთვალება ოფიციანტი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

არ დავუმალე, რომ ვატყობდი, საკმაოდ ნასვამი იყო და ზედმეტი იქნებოდა მისთვის ყველაფერი ეს...

— მაგის დარდი ნუ გაქვს შენ, ისე კი, წუხელაც ღამის ორ საათამდე აქ ვიყავი და ვურტყით ბევრი. მერე ამხანაგი შინ მივიყვანე და იცოცხლე!

— რას ამბობ, კაცო! — მივახალე უცებ.

მან ჩაიხითხითა, — რა შეიცხადე, რა ვთქვი ასეთი...

— ბიჭო, ნაშუაღამევს ოჯახი როგორ შეაწუხე! მუშაობს მეუღლე?

— აბა!

— მერე ცოდვა არ არის? შრომა შინ, გარეთ. უძილო ღამე, სტუმრები. დილით ისევ სამსახურში...

ჩემმა მერხის ამხანაგმა ჩაწითლებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალები გაკვირვებით მომაპყრო — რას მელაპარაკები, პლატონ, რისი ცოდვა, რა ცოდვა, მეუღლე თუ ჰქვია, ვალდებულია, მე როცა მესიამოვნება, მაშინ მემსახუროს! სხვათაშორის, დარდი ნუ გაქვს, შეჩვეულია მაგას — დილამდე ცერებზე ტრიალებდა...

— არ გეწყინოს და ეგ ვერაფერი სატრაბახოა!

— მე ასე მომწონს!

— კარგად გაუძლია შენს მეუღლეს.

ირაკლიმ კვლავ ჩაიხითხითა — თუ გათხოვება და ცოლობა უნდოდა, უნდა გამიძლოს, წარბში უნდა მიყურებდეს... თუ არ უნდა და — წავიდეს, ბატონო, ქალების მეტი რაა...

— შვილი რამდენი გყავს?

— ოთხი, — მიპასუხა მყისვე.

— დიდები იქნებიან...

— ყველაზე უფროსი ხუთმეტისაა...

— მერე და შენს შვილებს მოვლა არ უნდა?

— მოუაროს, ბატონო! დედაა და მოუაროს...

— კი მაგრამ, შენ მამა არა ხარ?

— მერე, მამა რომ ვარ, პლატონ, გენაცვალე, მიმაქვს საჭმელი, სასმელი...

— ეგ არაა ყველაფერი, ჩემო ირაკლი, ცოლი დაქირავებული მოსამსახურე კი არაა! სხვათაშორის ახლა დაქირავებულიც არ გაგაბედვინებს მაგდენს. ის კი არა, იქით უნდა უყურო თვალებში. ჰოდა, მეუღლეს გაფრთხილება, ხელის შეწყობა უნდა...

— ხელის გულზე უნდა დაისვა, არა? — ირონიულად ჩაიქირქილა მან. — მერე კისერზე დავაჯდება... პლატონ, თუ კაცი ხარ, ხასიათს ნუ გამიფუჭებ, მე ჩემი სიამოვნებისათვის ვცხოვრობ და ვაკეთებ ყველაფერს და თუ ცოლია, უნდა გამიგოს არა და ერთი მე მაგის...

„ოუჰ! — ეს როგორ გადაგვარებულა — კაცია თუ პირუტყვი, — გავიფიქრე გუნებაში, მოდი და დაჯექი ახლა ასეთ კაცთან, სასმისი აწიე“... მისი მეუღლის ნერვები და მოთმენის უნარი უნდა მქონოდა მეც, რომ მასთან სუფრაზე საუბარი გამეგრძელებინა.

— იცი, რა გითხრა? — ცოტა არ იყოს აწეული ტონით ვუთხარი, — მე ისეთ კაცთან სადღეგრძელოებს ვერ ვიტყვი, ვისაც ოჯახის და საკუთარი თავის პატივისცემა არა აქვს!

მან გულიანად გადაიხარხარა: — რას ამბობ, პლატონ! მე საკუთარი თავის პატივისცემა არა მაქვს?! ერთი შენც ლაპარაკობ, რა... გეტყობა, გეოგრაფიის მეტი არაფერი გისწავლია, ცხოვრების გემო არ იცი...

რა უნდა მეპასუხა? ავდექი, ცივად მადლობა ვუთხარი. ცოლ-შვილს გაფიცებ, არ წახვიდეო, — მეცა ხელში. ნატაშა ოფიციანტიც სწორედ მაშინ მოფოფინდა სავსე ლანგარით. თავი გავინთავისუფლე. კართან მისულს მისი ხმა დამეწია:

— არ იშლი, მართლა მიდიხარ? აუჰ, ვინ ყოფილა ეს კაცი. როგორ მივქარე!

კრისტინა ჟიგულსკა

# იუმორის გრძნობა

— მაშ, ქალბატონი ამბობს, რომ ჩემი ფელიკი იტყუება, იწვევს, სცემს ამხანაგებს და სულ წართმევაზეა? ქალბატონი ჩემს ვაჟიშვილზე საყვედურს გამოთქვამს, რომ იგი თავაშვებულია? კი, მაგრამ შაქარი ხომ არ არის, რომ დადნეს?

უბრალოდ, ცოცხალი ბავშვია. მე დამემგვანა: არც მე გადამყოლიან მეტისმეტად და, ქალბატონიც კარგად ხედავს როგორი გავიზარდე: მადლობა ღმერთს, ჯანმრთელი ვარ.

რა ქნას, ტემპერამენტიანია და ამიტომ სცემს ამხანაგებს. ჩემმა ბავშვმა სადმე ხომ უნდა იცხოვროს? — სახლში არ შეიძლება: ქმარი სამსახურიდან გადაღლილი მოდის და როგორც კი კარებს გააღებს, ამბობს: „გაიყვანე ბავშვი აქედან, თორემ საქმე ცუდად დამთავრდება“... რა თქმა უნდა, გამყავს. გუშინ ქმარი მთლად გადაირია. ფელიკმა მისი ახალი შარვალი ვიღაც ამხანაგს ორ ქვაში გადაუცვალა. ვერ გაიხსენა იმ ამხანაგის სახე, იმიტომ რომ ქუჩაში იყო. ის ბიჭი კი სხვა სკოლაში დადის. ვცადე ქმრისათვის ამეხსნა, რომ ბავშვს უბრალოდ, ვაჭრობის ნიჭი აქვს განვითარებული. მაგრამ ქმარს ვერ გაუგია.

ფელიკი არ იტყუება, ქალბატონო, მხოლოდ ფანტაზიორია. მაგალითად, რა მშვენივრად ყვება, როგორ მიუდგა კიბეები ჩამოსულ თვითმფრინავს, გადმოაგდო იქიდან მფრინავი, მომართა თვითმფრინავი და აფრიკაში გაფრინდა. საბუთად სამი ლურსმანი და ფანარი ჩამოიტანა. ეს ტყუილი არაა! ეს ფანტაზიაა! ასეთი ფანტაზიით შემდეგში დიდი მწერლები ხდებიან, ქალბატონო.

ფელიკი საერთოდ უწმაწურ სიტყვებს არ ხმარობს. მხოლოდ ზოგჯერ ერთობა, ისე თავისთვის ხუმრობს ხოლმე ბავშვი. და ადამიანებს სასაცილო სახელებს არქმევს. ჩემს ამხანაგს „წავს“ ეძახის. სხვისგან ასეთი რამ არ სმენია. მე მგონი, ბავშვი თავისთავადაა ასეთი ენამახვილი. ქალბატონ ექიმს „მაიმუნს“ უწოდებს. და ისიც, რასაკვირველია, ცოტათი მაიმუნს გვაგონებს: დიაღ, ფელიკი რაღაც განსაკუთრებულად დაკვირვებულია. მეზობელს „მამიკოს“ ეძახის. ამიტომ მისი ცოლი მე არ მესალმება. რას იზამს, იუმორის გრძნობა არ გააჩნია. არ ესმის ხუმრობა. ერთხელ ფელიკმა ბებიას უთხრა: „შებებერო ძროხაო“. მაშინ კი მართლა მივაქციე ყურადღება: ბებიას ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდად მოაქვს თავი! სხვათაშორის ფელიკს ძალიან უყვარს, როცა ყურადღებას აქცევენ, ან რაიმეს უბრძანებენ. მაგრამ საყვედური, რომ იგი სხვა ბავშვებს აფუჭებს, — ინსინუაციაა. მასაც ასევე აფუჭებენ. ყველა ვიღაცას აფუჭებს. ეს ბრალდება უმართებულოა.

სიმღერებს მღერის მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი მეხსიერება აქვს და ყველაფერს ელვისებურისწრაფით ითვისებს. მაგალითად, მაშინვე დაიმახსოვრა ეს ლექსი: „მტირალა ლალა საავადმყოფოში წავიდა“.. თქვენ ხომ იცით ეს?

მე არ ვამბობ, რომ ფელიკი იდეალურია, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზია. თქვენ ხომ იცით, რომ სულ რაღაც ორიოდე წლის წინ ეტლით პარკში ვატარებდი, მაშინ უფროსები სამსახურიდანაც კი მანთავისუფლებდნენ, რომ ბავშვისთვის მიმეხედა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დისციპლინა სამსახურში.

მერე და, რა ჭკვიანურ შეკითხვებს იძლევა ჩემი ბიჭი?! მაგალითად, დღეს დილით იკითხა: „დედი, მითხარი, ვინ გააჩინა პირველი ხულიგანი?“ „არ ვიცი ფელიუნიკო-მეთქი“ — ვუპასუხე. ის კი ყვირილით მომვარდა: „არ იცი?! ჩქარა თქვი, თორემ ისე დაგარტყამ, რომ ვერავინ აგბოჭავსო!“.

აი, ასეთი ჭკვიანი, ტემპერამენტით სავსე ბავშვია და ქალბატონს კი არ მოსწონს!

პოლონურიდან თარგმნა ინგა ქაქაბაძე

# წვეთი სისხლი

სისხლის გადასხმის კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი ბრიგადა სამკერვალო ფაბრიკაში მიდიოდა სისხლის ასაღებად. ჯგუფის ხელმძღვანელს ვთხოვე თან წავეყვანე... სამკერვალო საამქროში რომ შევედით, ველის ყვავილებს მივამსგავსე ნაირნაირ თავსაფრიანი ქალები და ქალიშვილები.

როცა ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგეს, ადგილებიდან წამოიშალნენ; ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს:

— სისხლი? ალალი და უსაყვედურო იყოს, ვისაც მოუხდება. სამი შვილი მყავს, რა ვიცი რა დროს რა დასჭირდება კაცსა!

ყურებს არ ვუჯერებდი, იქნებ თქვენც არ დაიჯეროთ, მაგრამ ასე იყო. მათ შორის მაინც გამოჩნდა ერთი, ერთი, რომელიც უჩხობდა:

— დამანებეთ თავი. არავისთვისაც არ მჭირდება მე სისხლი... შვილიც ჯანმრთელადა მყავს და ძირიც. ყველა დედამ თავის შვილს მიხედოს და მოუაროს!

ამ დედაზე ფიქრი დიდხანს მდევდა, მაგრამ დრო გავიდა და დამავიწყდა, დამავიწყდა და იქნებ არასოდეს მომგონებოდა, თუ არა ერთი შემთხვევა...

მარტი იყო, ხან თოვდა, ხან მზე ანათებდა ღრუბლებიდან...

ერთ-ერთი მოსახვევიდან მოსწავლე ბიჭი გამოვარდა და ქუჩის მეორე მხარისაკენ გაქანდა, მაგრამ შუა გზაზე მისულს, ტრამვაის ლიანდაგზე ფეხი დაუცდა, გასრიალდა და საწინააღმდეგო მხრიდან მომავალ მანქანას თავის ჩანთიანად ბორბლებს ქვეშ შეუცურდა...

ბავშვი გონდაკარგული მოიყვანეს საავადმყოფოში.

ჩანთიდან ამოლაგებულ ყველა წიგნსა და რვეულს ეწერა ბიჭის გვარი, სახელი, სკოლა და კლასი, მისამართი კი, რომელიც ამ შემთხვევისათვის ყველაზე ძალიან გვჭირდებოდა, არ იყო.

დავრეკეთ სკოლაში, გავიგეთ მისამართი.

ძნელი იყო, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა ოჯახის წევრებისათვის შვილის ამბავი?

ყურმილში დედის ერთი შეკივლება კი გავიგონე და სასწრაფოდ გავშორდი აპარატს...

ქალმა კარი კი არ შემოაღო, შემოგლიჯა: მისი შვილი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე იდო.

დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც სიცივისაგან გაყინულ, თმაგაწეწილ და მწუხარებისაგან სახედაპრანჭულ ქალში, სამკერვალო ფაბრიკის „ურჩი დედა“ შევიცანი. მიმღებ ოთახში იგი წინ და უკან დადიოდა — ხან სკამს წამოედებოდა, ხან მაგიდას. დიდ დერეფანში გავიყვანე, რომლის ბოლოშიც საოპერაციო ოთახი იყო, ამ ოთახში მისი შვილის სიცოცხლისათვის იბრძოდნენ ქირურგი და საოპერაციო დები: სპეციალური მაცივრიდან იღებდნენ სისხლის ამპულას, რომელსაც გარედან სისხლის გამცემის გვარითა და სახელით შევსებული ეტიკეტი ეკრა.

მისი შვილისათვის სხვისი დედა იძლეოდა სისხლს ალალად და უსაყვედუროდ...

საოპერაციო ოთახის კარებზე შეყინული „ურჩი დედის“ თვალები უშველებელ სარკედ გადაქცეულიყვნენ: — სამკერვალო ფაბრიკა... ექიმების გარშემო შემოხვეული მკერავი ქალები, ქალიშვილები და...

...მთავარი ექიმის კაბინეტში „ურჩი დედა“ გაუბედავად ჩამომჯდარიყო შეთავაზებულ სკამის ქიმზე და მოლოდინით სავსე თვალები კარისათვის მიეპყრო. ამ კარში სადაცაა მისი ბედნიერება და სიხარული, მისი ცხოვრების არსი და მიზანი უნდა შემოსულიყო, სიკვდილს გამოგლეჯილი და ჯანმრთელი.

კარის გაღება და დედის ფეხზე წამოვარდნა ერთი იყო... თითქოს ყოველ დღე მის პალატაში, მის სასთუმალთან არ მჯდარიყოს და საუკუნის უნახავი შვილი ენახოს — ისე ჩაიკრა ბავშვი გულში და... მოულოდნელად თავშეუკავებლად აქვითინდა.

ყველა დუმდა...

გრძნობამორეული, თითქოს შეშინებული — კიდევ არ დაეკარგა შვილი, „ურჩი დედა“ ეხვეოდა და უკოცნიდა ვაჟიშვილს სახეს, თვალებს, ხელებს, გონება კი დაჟინებით გაიძახოდა:

„ნუთუ სხვისი შვილის უბედურება თუ სიკვდილი მხოლოდ მაშინ უნდა გახდეს მწარე გაკვეთილი, როცა პირადად ჩვენი შვილის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე“?

იქნებ ჩვენ შვილს სწორედ ის სისხლი უბრუნებს სიცოცხლეს, რომლის გაღებაზეც ჩვენ ვამბობთ უარს?!

**სოფიკო ნიკოლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯაშუში ქალის აღსასრული

არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისრაელი არაფერს არ თაკილობს. ტელ-ავივი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ ქვეყნების სამხედრო პოტენციალის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებას, რისთვისაც ფართოდ იყენებს თავის ჯაშუშურ ქსელს. ისრაელის დაზვერვის მუშაკები — დიპლომატების, ჟურნალისტების და კომერსანტების სახით ისწრაფვიან გააბან ნაცნობობა დასავლეთ ევროპაში მოსწავლე არაბ სტუდენტებთან და ჩაითრიონ ისინი თავიანთ საქმიანობაში.

## „ალ-ახრამი", კაირო

ის 27 წლის ლამაზი ქალიშვილი იყო. ისრაელთა დაზვერვამ ჯერ კიდევ ოქტომბრის ომამდე გაიხადა ის თავის ჯაშუშად. იმ ხანებში დიდი მასშტაბებით იქმნებოდა სადაზვერვო ქსელი. ქალიშვილი აწვდიდა ცნობებს ეგვიპტის სამრეწველო და სამხედრო პოტენციალზე; დაზვერვისათვის აგროვებდა აგენტურას და დაზვერვის ცენტრის მიწვევით ორჯერ მოინახულა ისრაელი. მეორედ ჩასვლაზე დაზვერვის შეფმა მის პატივსაცემად დარბაზობა გამართა, რომელსაც ესწრებოდა 14 უმაღლესი ოფიცერი. როცა მის სადღეგრძელოს სვამდა, შეფმა წარმოთქვა: „შენ შეასრულე ისეთი დიდი სამუშაო, რომელიც არ ძალუძს არც ერთ აქ დამსწრე ოფიცერს". ასეთ შეფასებას იშვიათად თუ ეღირსებოდა რომელიმე აგენტი. მისი აგენტურული მონაცემები მართლაც ძვირფასი იყო, რადგანაც იმ ჟამად ეგვიპტე ბრძოლისათვის ემზადებოდა და ყოველგვარ ცნობას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. შემდეგ, როდესაც ის ჩავარდა, მისი ჯაშუშობაში ჩამთრევი, ისრაელის დაზვერვის ოფიცერი, ისრაელის პარიზის საელჩოს თანამშრომელი — ედმონი იმდენად შეძრწუნდა, რომ თავი მოიკლა. მისი სრული სახელი იყო — ხიბა აბდელ რახმან ამერ სალიმი.

## დაცემა

1969 წელს ხიბამ დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტი „აინ-შამსი", ფრანგული ლიტერატურის კურსით. თავისი ნიჭიერების წყალობით, მან მალე მოახერხა მიეღო სორბონის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდია. ასე მოხვდა ხიბა პარიზში და გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი. პარალელურად სამუშაოდ მოეწყო არაბი ქვეყნების ლიგის ბიუროში. მომხიბლავმა ასპირანტმა ქალმა მალე „სან მიშელის" საავადმყოფოს ექიმის — ბარტოს ყურადღება მიიქცია. ხიბას აინტერესებდა თავგადასავლები და ფული, ბარტოს კი — ლამაზი ქალები და... ფულიც. ამრიგად, ფილოლოგისა და ექიმის მეგობრობას საფუძვლად დაედო ფინანსური ინტერესები.

ერთხელ როგორღაც ბარტომ უთხრა ხიბას, ერთ ჟურნალისტს გაგაცნობ, რომელიც დაგეხმარება იმას მიაღწიო, რისკენაც ასე ისწრაფვიო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ედმონს წარუდგინეს. „ჟურნალისტი" „მოიხიბლა" მისი სილამაზითა და გონიერებით. ქალსაც ძალიან მოეწონა. არც ერთ მათგანს ერთმანეთისთვის არაფერი უკითხავს. ქალი იმითაც კი არ დაინტერესებულა, სად მუშაობდა ან რას წერდა „ჟურნალისტი". ედმონი და ხიბა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ სადილზე ედმონმა უთხრა მას:

— არის ერთი სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. იქნებ შეძლებდი მიგეწოდებინა მისთვის საჭირო ინფორმაციები? მითუმეტეს, რომ ჩქარა შვებულებაში ეგვიპტეში გაემგზავრები. გასამრჯელოს კარგს მიიღებ.

— რას ამბობთ! მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!

— სხვათა შორის, ეგვიპტიდან ტახინის ჰალვის წამოღება არ დაგავიწყდეს.

— ჰალვა? ჰალვა საიდანღა იცით?

— ჩვენ თქვენი ბიძაშვილები ვართ.

— მაშასადამე, თქვენ ებრაელი ხართ. მაშინ მითხარით რა სამეცნიერო ორგანიზაციაა ეს?

— გულახდილად რომ გითხრა, იგი ისრაელის დაზვერვისათვის მუშაობს. რას იტყვი ჰა?

— არაფერს! მე თანახმა ვარ. რჩება მხოლოდ ერთი საკითხი, მიამბოთ ყველაფერი დაწვრილებით, გულახდილად.

ამ საუბრის შემდეგ ედმონი დარწმუნდა, რომ ხიბა მზადაა მათთან ითანამშრომლოს. ახლა მათი დამოკიდებულება საქმიან კავშირზე დაფუძნდა. ედმონმა გადაწყვიტა, რომ ხიბა ცალკე ბინაში უნდა დასახლდეს. იმისათვის, რომ მას არ გაუჭირდეს და ფული ჰქონდეს, დაჰპირდა სამუშაოდ რამდენიმე ფირმის — მზა ტანსაცმლისა და პარფიუმერიის ნაწარმთა აგენტად მოგაწყობო. გარდა ამისა, ხიბამ ხელზე დიდი თანხა მიიღო. შემდეგ ედმონმა უყიდა საჩუქრები ნათესავებისათვის და ეგვიპტეში გაამგზავრა.

პარიზში დაბრუნებულს, ედმონმა გამოცდა მოუწყო. მან შეამოწმა ქალის მიერ შეგროვილი მასალები თავის ეგვიპტელ მეგობრებზე, რომლებიც პარიზში ცხოვრობენ, და მათთან სტუმრად მოდიოდნენ ხოლმე.

1971 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც ხიბამ ეს დავალება შეასრულა, ედმონმა თხოვა კვლავ გამგზავრებულიყო ეგვიპტეში. „შენგან მოვითხოვთ, — უთხრა მან, — წარმოადგინო საერთო ცნობები ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ". მან ეს დავალებაც შეასრულა. 1972 წლის დასაწყისში ედმონმა აცნობა ხიბას, რომ ტელ-ავივის ხელმძღვანელობას მასთან შეხვედრა სურდა.

ედმონმა ხიბას ისრაელის პასპორტი მიართვა და ბილეთიც უშოვნა ისრაელის ავიაკომპანიის თვითმფრინავზე „ელ-ალზე". აეროპორტში მას უკვე ელოდა დაზვერვის წარმომადგენელი. ისრაელში მან 25 დღე დაჰყო და ამ ხნის მანძილზე სასწავლო კურსი გაიარა დაზვერვის ცენტრში. ხიბა ისე მომზადეს, რომ მას უკვე შეეძლო კაიროში რეზიდენტობა გაეწია და ახალ-ახალი აგენტები გაეჩინა: მოეგროვებინა ცნობები, ესარგებლა საიდუმლო წერის ხერხით, შიფრით, რადიოკავშირით, მიკროფილმებით.

## ანგარიშსწორება

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ იგი კვლავ პარიზში დაბრუნდა, სადაც ინფორმაციას აგროვებდა საფრანგეთში მცხოვრებ ეგვიპტელებისაგან. როდესაც ტელ-ავივის უფროსებს უფრო მეტი ცნობები დასჭირდებოდათ ეგვიპტის შესახებ, ხიბა კვლავ მიემგზავრებოდა კაიროში.

ხიბა ჯაშუშობდა თავისი ქვეყნის წინააღმდეგ, მისთვის და მათთვის, ვინც ქალმა საჯაშუშო საქმიანობაში ჩაითრია, ისრაელი არავითარ თანხებს არ იშურებდა, მაგრამ კონტრდაზვერვამ მაინც გამოთხარა ეს კრახანების ბუდე; და აი, სწორედ იმ დროს — 1973 წელს ხიბა პარიზში გაემგზავრა.

დაისვა საკითხი: როგორ ჩაეგდოთ ხელში გამოცდილი ჯაშუში, რომელსაც დარაჯობდა და იცავდა ისრაელის აგენტურა?

ჩატარებულ იქნა უდიდესი მუშაობა ხიბას ხელში ჩასაგდებად. როგორ? ამის შესახებ ეგვიპტის დაზვერვის წარმომადგენელი არ იძლევა არავითარ ცნობას. საქმე ისე მოეწყო, რომ თვითონ ედმონმაც კი, საფრანგეთში ისრაელის დაზვერვის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა, ხელი შეუწყო ხიბას კაიროში დაბრუნების ორგანიზაციას. ორლის აეროპორტში რომ აცილებდა, მან ხიბას ათასი დოლარი და, როგორც ყოველთვის, აუარებელი საჩუქარი გადასცა. როდესაც ქალი კაიროში ჩავიდა, აეროპორტში მას კონტრდაზვერვის ოფიცრები და პროკურატურის წარმომადგენლები დახვდნენ.

ისრაელის ჯაშუშს — ხიბა სალიმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რომელიც სისრულეშია მოყვანილი.

# ჩვენი სიჯახო კლუბი

# საუბარი ეპილეფსიით დაავადებულთან

რა თქმა უნდა, ჩინებულად გვესმის იმ ავადმყოფებისა და ნათესავებისა, რომელნიც დაჟინებით ეძებენ ისეთ საშუალებას, რაც უცბათ, სამუდამოდ იხსნიდა ადამიანს ეპილეფსიისაგან. კი ბატონო, გვესმის, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი საშუალება არ არსებობს. ეპილეფსია თავისი ბუნების მიხედვით ისეთი დაავადებაა, რომელიც უცბათ ვერ გაივლის.

— მაშინ რაღა საჭიროა, საერთოდ, მკურნალობა? — ეკითხება ავადმყოფი ექიმს, — პირდაპირ გვითხარით და ის არის, მოურჩენელი დაავადებაა და თავს ნუღარ იმტვრევ-თქო...

პირობას გაძლევთ: გულახდილად გესაუბროთ. გულზე ხელს დავიდებთ და ისე გეტყვით: მართალია ეპილეფსიას წლობით სჭირდება მკურნალობა, მაგრამ იგი უშედეგო არაა, უფრო სწორად, უშედეგო კი არა, დიდი, უზარმაზარი შედეგი აქვს. მკურნალობის გარეშე ეპილეფსია არასოდეს არ გაივლის, მკურნალობის წყალობით კი, მეტ შემთხვევაში, მაინც გაივლის, მართალია ჩქარა არა, მაგრამ მაინც გაივლის; გარდა ამისა, მკურნალობის დროს დაავადება გაცილებით მსუბუქად მიმდინარეობს, რასაც დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ყველა ექიმს შეუძლია მოიგონოს ათობით მაგალითი, როცა მძიმე, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა, ბოლოსდაბოლოს, მაინც გამოკეთებულა, თანაც გამოკეთებულა საიმედოდ, ხანგრძლივად. მას მთელი ძალღონით დაუწყია მუშაობა, ბედნიერი ცხოვრება და უბრალოდ დავიწყნია კიდეც თავისი დაავადება...

თუმცა, სიტყვას — „დავიწყნია“ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. ეპილეფსიით დაავადებულმა, ისე როგორც ქრონიკული სენით შეპყრობილმა ყველა ადამიანმა, საჭიროა ცხოვრების მეტად სწორი პოზიცია აირჩიოს. არ შეიძლება უგულვებელყოს ის შეზღუდვები, რომელთაც დაავადება მოითხოვს, მაგრამ არც ის შეიძლება, სულ ამაზე იფიქროს, განუწყვეტლად ეკეროს ენაზე „ავადა ვარო“.

ის, ვინც ზომიერი წერტილის მოძებნას შეძლებს, ვინც ფსიქოლოგიურ გამარჯვებას მოიპოვებს, მიიღებს უდიდეს უპირატესობას: შეუძლია თქვას, რომ სანახევროდ გაჯანსაღებულია.

დაავადების ძირითადი გამოვლინებაა კრუნჩხვითი შეტევა. არის სხვა ნიშნებიც, მაგრამ ისინი ისე აშკარა და ისე შესამჩნევი არაა, რაც მთავარია მათი სიმძიმე შეტევის სიხშირეს შეესაბამება. ამიტომაც დაავადების მიმდინარეობის შესახებ, იმაზე, არის თუ არა უკეთესობა, შეგვიძლია საკმაო სიზუსტით ვიმსჯელოთ იმით, თუ რამდენად იშვიათი გახდა შეტევა წინანდელთან შედარებით.

მოვლენები, რომლებიც თვეობით გრძელდება, შეიძლება მალე დაგვავიწყდეს, ამიტომ ავადმყოფს ურჩევენ შეიძინოს რვეული, რომელშიც აღნიშნავს შეტევის თარიღსა და დროს. თუ შეტევები ძირითადად ღამღამობით ხდება, ეს უკეთესობაზე მეტყველებს.

წამალი სავალდებულოა ყველა ეპილეფსიით დაავადებულისათვის. ამა თუ იმ კრუნჩხვის საწინააღმდეგო პრეპარატის მიღება აუცილებელია. კიდევ აუცილებელია იმ თავისებურების დახსომება, რაც ამ პრეპარატებს ახასიათებს: ისინი ეფექტურია, მაშინ თუ სისტემატურად, გულდადებითა და, ერთსა და იმავე საათებში ვიღებთ. რვეულში უნდა აღინიშნოს, როდის იქნა პრეპარატის მიღება დაწყებული, როდის შეიცვალა დოზა, ანდა როდის დაინიშნა ახალი წამალი.

ხშირად გვეკითხებიან: რომელი წამლის მიღებაა უკეთესი, ჩვიან — ექიმმა ახალი საშუალება არ გამომიწერაო. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, განსჯა იმისა, რამდენად მართებულია ჩივილები, შეუძლებელია. კრუნჩხვის საწინააღმდეგო პრეპარატი ბევრია შექმნილი და წინასწარ თითქმის შეუძლებელია იმის თქმა, რომელი მათგანი უშველის ყველაზე უფრო ავადმყოფს. ამის განსაზღვრა ყოველთვის დაახლოებითი ვარაუდით ხდება, მხოლოდ მკურნალობის პროცესში დგინდება საბოლოოდ, თუ რომელი სამკურნალო საშუალება უნდა შეირჩეს.

მართალია, მკურნალობის პრინციპი საერთოა, მაგრამ ყველა ავადმყოფს მაინც საკუთარი მკურნალობის ოპტიმალური ვარიანტი, თავისი გასაღები გააჩნია. ძიება შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. რამდენად ეფექტურია მკურნალობა, ამის განსჯა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გავიგებთ, რა სიხშირით მოსდის ავადმყოფს შეტევა და როგორ იცვლება ეს სიხშირე მკურნალობისას, თანაც ეს ცვლილება უნდა ატარებდეს კანონზომიერ და არა შემთხვევით ხასიათს. ყოველივე ამაში რომ დავრწმუნდეთ, ამისათვის საჭიროა დრო. ზოგჯერ პრეპარატების შეცვლის შუალედი თვეობით გრძელდება. აი რატომაა, რომ ეპილეფსიით მკურნალობისას საჭირო ხდება უდიდესი ნებისყოფის გამოჩენა, როგორც ავადმყოფის, ისე მისი პატრონისა და ექიმის მხრივ.

თუ ავადმყოფს სურს, რომ მკურნალობას წარმატება ჰქონდეს — და, რა თქმა უნდა, მას ეს სურს! — უნდა მოეხმაროს ექიმს. ჩვენ ხომ უკვე ვილაპარაკეთ ჩანაწერზე: თუ კი ეს ჩანაწერები ნამდვილად თანმიმდევრულია ექიმი იოლად განსჯის, როგორ მოქმედებს ავადმყოფზე წამალი.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თავად შეცვალოს ავადმყოფმა წამლები: ხან ერთი მიიღოს, ხან მეორე. მაშინ ექიმს საშუალება აღარა აქვს სწორად გამოიცნოს, რომელი წამალია უკეთესი.

რა თქმა უნდა, საჭიროა განსაზღვრული რეჟიმის დაცვაც. თითოეულმა ავადმყოფმა, ჩვეულებრივ, იცის რომ მისთვის არ შეიძლება ისეთ პირობებში მუშაობა, სადაც შეტევამ შეიძლება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მოუსწროს; ასეთია ტრანსპორტზე, ცეცხლთან, წყალთან, სიმაღლეზე, მოძრავ მექანიზმებთან მუშაობა. ეს რეკომენდაცია მარტო მუშაობას როდი ეხება, საჭიროა, საერთოდ ვერიდოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც შეტევამ შესაძლებელია მძიმე შედეგი გამოიღოს. ძნელია და არცაა საჭირო ყველაფრის წინასწარი განსაზღვრა, მაგრამ აშკარა საშიშროება მაინც არ უნდა უგულვებელვყოთ. გვინახავს, მაგალითად, როცა ავადმყოფს გადაუცურავს მდინარე. რა საჭიროა ასეთი რისკი?!

რა თქმა უნდა, ფიზკულტურა, სპორტული თამაშობები, სპორტიც კი (იარაღებზე ვარჯიშის გამოკლებით) აკრძალული არაა. სასარგებლოა ჰაერზე ყოფნა, სეირნობა, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო, რათა არც თავად აღმოვჩნდეთ და არც სხვა დავაყენოთ საშიშროების წინაშე.

ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს, ჩვეულებრივ აღელვებთ ერთი რამ: შეიძლება თუ არა ბევრი კითხვა, სწავლა? — შეიძლება. გადაღლა, რა თქმა უნდა, სასურველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა, მაგრამ გადაღლა ხომ არც ჯანმრთელი ადამიანებისთვისაა სასურველი!

რაკი შეზღუდვებს დავუბრუნდით, მოვაგონებთ კვების რეცეპტსაც, რომლის დაცვა ყოველთვის სავალდებულოა: დაუშვებელია ორგანიზმში სითხის შეჩერება, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა უარი უნდა ვთქვათ მარილიან კერძებზე და მეორე, შევზღუდოთ სითხის მიღება.

წყლის ბალანსის შემოწმება ძნელი არაა: დროდადრო უნდა შევადაროთ დღე-ღამეში დალეული წყლისა (წვნიანი კერძების ჩათვლით) და გამოყოფილი შარდის რაოდენობა. დავუშვათ, მიღებული სითხის რაოდენობა მეტი აღმოჩნდა, მაშინ უნდა შევზღუდოთ მისი მიღება. და თუ არც ეს შველის საქმეს, მივმართოთ ექიმს.

სპირტიანი სასმელები სავსებით უნდა იქნეს ამოღებული ხმარებიდან, სულერთია, არაყი იქნება ეს, ღვინო თუ ლუდი. ბევრჯერ გაუარესება, წამლის უეფექტობა, რომელიც ასეთი წვალებით შეირჩა, სწორედ ამ უბრალო მოთხოვნის შეუსრულებლობითაა გამოწვეული. ამიტომ თუ გამოჯანმრთელება გსურთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრათ საკუთარ თავს: „სპირტიანი სასმელი ჩემთვის არ არსებობს!"

დავამთავროთ იმით რითაც დავიწყეთ! სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი წამალი, რომელიც ეპილეფსიას ერთ დღეში მოარჩენდა, არც ისეთი წამალი გვაქვს, რომელიც ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ მოარჩენს მას. ეპილეფსიის მკურნალობა —ესაა ექიმისა და ავადმყოფის შრომა, შრომა ხანგრძლივი და ბეჯითი. მაგრამ ეს კეთილშობილი შრომაა, რომლის საზღაურიც გამოჯანმრთელება გახლავთ.

**ვ. გ. როტშტეინი,**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ზოგი რამ მოდის შესახებ

„მისდიო მოდას სისულელეა.
ჩამორჩე — სასაცილოა".
ჰეგელი.

ძნელია ხალხის ცხოვრებაში მოიძებნოს მეორე მსგავსი მოვლენა, რომელიც სავსე იყოს ისეთი წინააღმდეგობებით, როგორიც მოდაა: კაბის სიგრძე თუ სიგანე, თარგი თუ ფერთა კომბინაცია, რომელიც ახლახან ითვლებოდა ერთადერთ სრულყოფილ გადაწყვეტილებად, სილამაზის აღიარებულ ეტალონად, სულ რაღაც მოკლე დროში კარგავს თავის ჯადოსნურ ძალას და, მოდა იქვე გვარწმუნებს სრულიად საწინააღმდეგოში — მოკლე კაბას ცვლის გრძელით, ვიწროს — განიერით და, ყოველთვის, ამა თუ იმ მოდის მომხრეები და მიმდევრები სთვლიან, რომ მხოლოდ ეს მოდა არის ლამაზი და მოხერხებული; დასცინიან უკვე მოძველებულს, განვლილს და ეს პროცესი მეორდება ხელახლა.

შეიძლება უსასრულო მაგალითების მოყვანა მოდის იმ უცნაურობათა და თავისებურებათა შესახებ, რომელთაც კოსტიუმის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ შეურყევიათ ხალხის მტკიცე, დაკანონებული ჩვევები. წლების მანძილზე ებრძოდა მოდას ეკლესია და არაერთი სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ, მოდა იქცევა რა თავისებურ ესთეტიკურ კანონად, თხოულობს სრულ დაქვემდებარებას და დამორჩილებას. მისი გავლენა იმდენად დიდია, რომ მოდის აკრძალვა არ შეუძლია არც მკაცრ სახელმწიფოებრივ კანონს და არც საზოგადოებრივ გაკიცხვას. მოდის ასეთ დაუმორჩილებლობას და შეუპოვრობას კაცობრიობა არაერთხელ ჩაუყენებია კურიოზულ მდგომარეობაში და ალბათ ეს არის მიზეზი, რომ მოდას ხშირად უცქერიან, როგორც არასერიოზულ, სწრაფმავალ მოვლენას და წარსულშიც და დღესაც იგი თავის მიმართ ხალხის სხვადასხვა დამოკიდებულებას იწვევს.

მოდის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის ახსნას არაერთხელ ცდილან სხვადასხვა დროისა და დარგის სპეციალისტები და არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მისი ბუნების თავისებურებაზე, ყველაზე სერიოზული ადამიანებიც კი დაფიქრებულან, მაგრამ ამ საკითხზე სრული ამომწურავი განმარტება ჯერ არავის მოუცია. მოდის წარმოქმნის მიზეზად ზოგი თვლის თანდაყოლილ ადამიანურ კოპწიაობასა და სიკეკლუცეს, ზოგი კი, სურვილს გამოირჩეს სხვებისაგან, მიმბაძველობასა და სწრაფვას სიახლისაკენ; მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ეს მოსაზრება არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, ასევე შეუძლებელია, რომელიმე მათგანის მეცნიერული დასაბუთებაც.

რასაკვირველია, არც ამ პატარა წერილს აქვს პრეტენზია მოდის ამოუხსნელი მიზეზების განმარტებისა და არ ამოწურავს მოდის პრობლემას. ჩვენ მხოლოდ გვინდა შევჩერდეთ იმ ზოგიერთ რთულ დამოკიდებულებაზე, რომელიც დღესაც არსებობს ადამიანებსა და მოდას შორის.

მოდა მნიშვნელოვანი საყურადღებო მოვლენაა ხალხის ცხოვრებაში. იგი არსებობს ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროში. მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ტანსაცმელში და ყოველთვის გამოხატავს და აკმაყოფილებს თავისი დროის საზოგადოების ყოფის ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ტანსაცმელი ადამიანის უსიტყვო დახასიათებაა — მას შეუძლია ხაზი გაუსვას მის ხასიათს, გემოვნებას, გარეგნობას, დადებით და უარყოფით მხარეებს და გამოავლინოს ბევრი სხვა პირადული თვისებებიც. მოდა გავლენას ახდენს ადამიანის მთელ გარეგნობაზე. აქ იგულისხმება არამარტო ჩაცმულობა, არამედ თმის ვარცხნილობა, ქცევის მანერა, თავის დაჭერა და სხვა.

ჩვენ გამოვიარეთ მრავალი ეტაპი, სხვადასხვა დამოკიდებულება მოდის მიმართ. უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ალბათ, კარგად ახსოვთ დრო, როდესაც მოდის მიბაძვას ლებულობდნენ, როგორც მტრულ იდეოლოგიურ გამოხატულებას. მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ჰქონდა თავისი გარკვეული მიზეზები. ეს იყო იმდროინდელი საზოგადოების თავისებური პროტესტი და სურვილი ყველაფერი ძველის უკუგდებისა. ამ განწყობილებამ გამოხატულება ჰპოვა ტანსაცმელშიც. აღარ ატარებდნენ სამკაულებს, შლიაპებს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და სხვა.

ახლა აღარ არსებობენ ადამიანები, რომლებიც უარყოფდნენ გარეგნობაზე ზრუნვას. ჩაბარდა წარსულს ის დრო, როდესაც ზრუნვა გარეგნობაზე ითვლებოდა ბურჟუაზიულ გადმონაშთად და მეშჩანობის ნიშნად, დღეს თითოეულ ჩვენთაგანს კარგად ესმის, რომ კარგი ჩაცმა ადამიანის კულტურის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ შეინიშნება ზოგიერთი ქალის უარყოფითი დამოკიდებულება მოდის მიმართ (და არა მარტო ქალის!) ქალების ეს ნაწილი გამოირჩევა ძველი მოდის ერთგულებით. მოდის ყოველ სიახლეს — ტანსაცმლის სიგრძეს, სილუეტს, ფეხსაცმლის ფორმას, ვარცხნილობასა თუ გრიმს აშკარა უნდობლობით ეკიდებიან, ავიწყდებათ, რომ მათ მიერ მოწონებული და დამკვიდრებული მოდაც წარსულში ასეთივე ეჭვს იწვევდა და როგორც წესი სთვლიან, რომ ძველი მოდა—ეს არის „ჩვენი" და ყოველი ახალი მიმართულება მოდაში, ნაკარნახევია უცხოური გავლენით, თუმცა შესაძლებელია ეს პირიქით იყოს.

მართალია, ზოგჯერ ზოგიერთი ცვლილებები ტანსაცმელში გაუგებარია, ასეთ გაუგებარ ცვლილებებს უწოდებენ „მოდის კაპრიზს", მაგრამ, ძირითადად, მოდაში ცვლილებები ლოგიკური და კანონზომიერია. ტანსაცმელი არ არსებობს მოდის გარეშე. მხოლოდ საჭიროა მისი სწორი შეფასება და გონივრულად გამოყენება, ამაში კი, უპირველესად ყოვლისა, დაგვეხმარება შინაგანი კულტურა და კარგი გემოვნება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ განასხვავო ლამაზი ულამაზოსაგან, სწორად შეიგრძნო ჭეშმარიტი სილამაზე.

**ლ. ხვედელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ოჯახური საქმიანობით დაიღალეთ...

ერთმა ინგლისელმა კინორეჟისორმა კინოფირზე გადაიღო თავისი ცოლის ერთი დღის საოჯახო საქმიანობა და შემდეგ ფირი აჩქარებული ტემპით დაატრიალა. საოცარი სანახაობა გამოვიდა. ქალი ათასგვარ მოძრაობებს აკეთებს: ჯდება, დგება, იხრება, იზნიქება, გადააქვს სხვადასხვა საგნები, დადის, დარბის და სხვ. ერთი სიტყვით, მისი მოძრაობები ტანმოვარჯიშისა და ჟონგლიორის საქმიანობას მოგაგონებთ. როცა ეს ფილმი სპეციალისტებს უჩვენეს, მათ დაასკვნეს, ასეთი დატვირთვის ატანა პროფესიონალ სპორტსმენსაც გაუჭირდებაო.

მართალია, ამჟამად ქალის შრომა სხვადასხვა საოჯახო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით მნიშვნელოვნად გაადვილებულია, მაგრამ ოჯახური საქმიანობა ქალს მაინც მძიმე ტვირთად აწევს.

არის ერთი გარემოება, რაზედაც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ერთიდაიმავე სამუშაოს შესრულებისას ერთი მეტ ენერგიას ხარჯავს, მეორე — ნაკლებს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის პროცესის ორგანიზაციას, სამუშაო ადგილის მოწყობას და შრომის რაციონალურად განაწილებას. ავიღოთ უბრალო მაგალითი — როგორ ვზივართ? თითქოს უბრალო საკითხია, მაგრამ ადამიანი 5 ათას წელზე მეტია სკამს ხმარობს და თურმე არასწორად. შვედმა ექიმმა ბენტ აკერბლომ დაადგინა, რომ ძველებური სკამები მაღალი და სწორი საზურგით არასწორად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. საქმე ისაა, რომ ადამიანის ხერხემლისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი მოხრილობა. სწორი მაღალსაზურგიანი სკამი კი ამის საშუალებას არ იძლევა, ასეთ სკამზე ჯდომისას ხერხემალი სტატიკურ დატვირთვას განიცდის და დასვენების მაგივრად ადამიანი მალე იღლება. სწორედ ამიტომაც ახლა სკამებს დაბალი და დახრილი საზურგით აკეთებენ.

გამოანგარიშებულია, რომ 5-6 საათი სკამზე ჯდომისას ადამიანი საშუალოდ 1 000-ჯერ იცვლის მდგომარეობას.

ხშირად ნახავთ დიასახლისს, რომელიც საქმიანობს მისთვის ძალზე მაღალ ან დაბალ მაგიდასთან, რასაც წელის ტკივილი და საერთო დაღლილობა მოყვება. ზოგიერთი სამუშაოს შესრულება დგომელა ჯობია, ზოგის კი — პირიქით.

გამოანგარიშებულია, რომ თუ სამუშაოს შესრულებისას ქალის ხელით მიყენებული ძალა 5 კილოგრამს არ აღემატება, სამუშაოს შესრულება უმჯობესია ჯდომელა.

არსებობს მეორე წესიც, თუ სამუშაო ადგილის სიმაღლე 80-90 სმ-ს არ აღემატება, საშუალო სიმაღლის ქალისათვის სამუშაოს შესრულება უმჯობესია დგომელა.

ქალს ოჯახში საქმეს რა გამოულევს, როგორ მოვიქცეთ, როგორ შევუმსუბუქოთ მას შრომა? — მივმართოთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას — ფიზიკურ ვარჯიშებს. ზოგმა შეიძლება თქვას — განა დიასახლისს ოჯახში მოძრაობა აკლიაო? — მართალია, არ აკლია, მაგრამ სულ სხვაა სპეციალურად შერჩეული ვარჯიშების შესრულება. ასე მაგალითად, თუ დიდხანს გიხდებათ მოხრილ მდგომარეობაში ყოფნა, დაღლილობის გასაქარვებლად კარგია მოხრის საწინააღმდეგო მოძრაობების — გაზნექების შესრულება. თუ დიდხანს გიწევთ ჯდომა, შემდეგ კარგია სიარული, მკლავების მოძრაობით და ღრმა სუნთქვით. დატვირთვა უნდა მივცეთ (ვავარჯიშოთ) ორგანიზმის იმ ნაწილებს, რომლებიც ნაკლებად მოძრაობს. ასე მაგალითად, თუ სამუშაოს ფეხებით ასრულებთ, მაშინ კარგია ძირითადი მოძრაობები მკლავებისათვის შევასრულოთ ან პირიქით.

5-7 წუთიანი ვარჯიშების შესრულება სწრაფად აღადგენს დახარჯულ ენერგიას, გააუმჯობესებს გულისა და ფილტვების მუშაობას, სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას და, რაც მთავარია, საერთო განწყობას. ფიზკულტპაუზებად წოდებული ასეთი ვარჯიშები დიდი წარმატებით გამოიყენება ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში.

გთავაზობთ რამდენიმე მარტივ ვარჯიშს, რომელთა შესრულება შეგიმსუბუქებთ შრომას და შეგმატებთ ხალისს.

### 1 ვარჯიში

დაჯექით სკამზე. წელში გასწორდით. ღრმად ჩაისუნთქეთ. მოხარეთ მარცხენა მუხლი, შემოაჭდეთ ხელები. წელში გაიზნიქეთ, თავი უკან გადასწიეთ. გაჩერდით 4-6 წამი. ფეხი დაუშვით. ამოისუნთქეთ. მოდუნდით.

ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### II ვარჯიში

დაჯექით სკამზე. წელში გასწორდით თავი და ტანი პირდაპირ დაიჭირეთ. ჩაისუნთქეთ. ფეხები მოხარეთ. მუხლები რაც შეიძლება ახლოს მიიტანეთ ტანთან. მკლავები შემოაჭდეთ მუხლებს, თავი დახარეთ. გაჩერდით 4-6 წამი. ფეხები დაუშვით, ამოისუნთქეთ, გასწორდით. თავი დახარეთ. მოდუნდით. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### III ვარჯიში

დადექით, ფეხები ერთად, მხრები გადაშალეთ, ტანი პირდაპირ დაიჭირეთ. ჩაისუნთქეთ, მუცელი შესწიეთ, აიწურეთ. მკლავები განზე გაიტანეთ და თითებით თავს შეეხეთ. ასე გაჩერდით 4-6 წამი.

ამოისუნთქეთ, მკლავები დაუშვით. გაიარ-გამოიარეთ, მოდუნდით. ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### IV ვარჯიში

კედელთან დადექით, მკლავები ზურგს უკან. წელზე გადაიჭდეთ. ქუსლებით და ბეჭებით შეეხეთ კედელს. ჩაისუნთქეთ. მუცელი აიწურეთ. გაჩერდით 4-5 წამი.

ამოისუნთქეთ, მკლავები დაუშვით. გაიარ-გამოიარეთ. შეასრულეთ 4-6-ჯერ.

### V ვარჯიში

დადექით თავისუფლად, ჩაისუნთქეთ. მკლავები თავს უკან კისერზე დაიწყეთ. მუცელი აიწურეთ. აიწიეთ ცერებზე. გაჩერდით 4-6 წამი. ამოისუნთქეთ. დაეშვით ტერფებზე. გაიარ-გამოიარეთ.

ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### VI ვარჯიში

დადექით, მკლავები უკან გაიტანეთ, თითები გადააჭდეთ, მკლავები გამართეთ. იარეთ ცერებზე 6-8 ნაბიჯი. მკლავები დაუშვით. გაიარ-გამოიარეთ თავისუფალი ნაბიჯით. ისუნთქეთ თავისუფლად.

გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

საერთოდ კი უნდა მიეჩვიოთ თავისა და ტანის სწორად დაჭერას და აწეურული მუცლით ყოველგვარი საქმიანობის შესრულებას.

მოშვებული დგომა, ჯდომა, მოდუნებული, მხრებში მოხრილი სიარული საბოლოო ჩვევაში გადადის.

მაშ, ასე, მეგობრებო! ცოტა მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს, რათა დიდხანს შეინარჩუნოთ ხალისი, შრომისუნარიანობა, გაიუმჯობესოთ ჯანმრთელობა და თქვენს გარეგნობას მისცეთ მეტი ქალური სინაზე და ელეგანტურობა.

**დოცენტი გ. ყირმელაშვილი,**
ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1



2

3



4



5



6



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწარე მდოგვი

მდოგვი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ჯვარედინყვავილოვანთა ოჯახიდან, დატოტვილი ღეროებით, ღია მწვანე ფერის ფოთლებითა და წვრილი ყვითელი ყვავილებით. იგი შეიცავს სპეციფიკურ ნივთიერებას, რაც მხოლოდ ამ მცენარეს ახასიათებს: ცხიმოვანი მდოგვის ზეთსა და მირონოვის სიმჟავეს. თავისთავად მირონოვის სიმჟავეს მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ გარკვეულ პირობებში იგი იშლება და წარმოშობს განსაკუთრებულ მქროლავ ნაერთს — ეთეროვანი მდოგვის ზეთს, რომელსაც მკვეთრი გემო და სუნი ახასიათებს.

ცხიმოვანი მდოგვის ზეთს იღებენ მდოგვის თესლის ცხელი დაპრესვის გზით. ზეთის გამოწურვის შემდეგ დარჩენილ კოპტონს აშრობენ, ფქვავენ, ცრიან და იღებენ ეგრეთწოდებულ მდოგვის ფქვილს. ამ ფქვილიდან ამზადებენ სუფრის მდოგვს, რომელიც გამოიყენება არა მარტო საჭმლის შესანელებლად, არამედ მედიცინაშიც.

როგორც ცხარე სანელებელი ხორცისა და თევზის კერძებისა, მდოგვი აძლიერებს მადას, ახალისებს ადამიანს.

მდოგვი აძლიერებს რა კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. მდოგვის თესლი შედის ეგრეთწოდებულ „კუჭის ჩაის“ შემადგენლობაში, რომელიც აწესრიგებს ნაწლავების მოქმედებას.

მდოგვის ეთეროვანი ზეთის ორპროცენტიანი ხსნარი სპირტში, ცნობილი „მდოგვის სპირტის“ სახელით, გამოიყენება მედიცინაში, როგორც დასაზელი საშუალება.

ასეთივე მოქმედებას ახდენს „მდოგვის საფენები“, რომელიც მდოგვის ფქვილისაგანაა მომზადებული. იგი შეიცავს მირონოვის სიმჟავეს ანუ სინალბინს და ფერმენტ მიროზინს. მიროზინის მოქმედებით ვიღებთ სწორედ იმ მდოგვის ეთეროვან ზეთს, რომელიც წარმოადგენს მოქმედ საწყისს „მდოგვის საფენებისას“.

მდოგვის საფენებს იყენებენ გაციების, რევმატიზმის, რადიკულიტის და ნეფრიტების დროს.

ჰიპერტონიან ავადმყოფს მდოგვის საფენებს ადებენ კისერზე. მდოგვის საფენებს ხმარობენ სისხლის ძლიერი მოწოლისა და თავის ტკივილის დროსაც.

მდოგვის საფენების პოპულარობას მედიცინაში მოწმობს საინტერესო ციფრი: 1973 წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადებული და გამოყენებული იყო ორი მილიარდი ცალი მდოგვის საფენი.

ფართოდ გამოიყენება მედიცინაში აგრეთვე მდოგვის აბაზანები. გაციების პირველი ნიშნებისას კეთდება ფეხის აბაზანები შემდეგი ანგარიშით: ორი სუფრის კოვზი ფხვნილი ერთ ვედრო წყალში. ზოგჯერ აბაზანებს ცვლიან წინდებით, რომელშიც მდოგვის ფხვნილს ყრიან და ღამით იცვამენ. სისხლის მიმოქცევის გასაძლიერებლად და ნახველის ამოღების გასაადვილებლად იყენებენ საერთო მდოგვის აბაზანებსაც შემდეგნაირად: მოზრდილთათვის 200 გრ ფხვნილი ერთ აბაზანაზე, ხოლო ბავშვებისათვის — 9-10-ჯერ ნაკლები, ასაკის მიხედვით.

ვ. ჟადაევი

# სასარგებლო რჩევები

● კარტოფილის, სტაფილოსა და სხვა ბოსტნეულის გაფცქვნის შემდეგ თითებზე დარჩენილი მუქი ლაქები შეიძლება მოიცილოთ კბილის პასტით ან ლიმონის წვენით.

● კაბიდან სუნამოს ლაქის მოცილება შეიძლება სუფთა სპირტით, თაფლის ლაქისა — ნიშადურგარეულ მარილიან წყალში დასველებული ნაჭრით.

● თუ სამზარეულოში ან სააბაზანო ოთახში ცუდი სუნი დგება წყალსაწრეტ მილში ჭუჭყის დალექვის გამო, წყალსაწრეტში კარგა ბლომად სუფრის მარილი ჩაყარეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ.

● ნიკელისაგან დამზადებული ნივთები ყველაზე უკეთ ნიშადურის სპირტით იწმინდება.

● დამტვერიანებული ელექტროლამფები 50 პროცენტით ამცირებს სინათლეს, ამიტომ, ლამფები გაწმინდეთ ჩვრით, ჩვარი დაასველეთ ნიშადურგარეულ საპნიან წყალში; ვიდრე წმენდას დაიწყებდეთ ლამფა გამორთეთ ელექტროქსელიდან.

● სამზარეულოს ჭუჭყიანი მინები გაკრიალდება თუ მათ მარილიანი წყლით გაწმენდთ.

● უხეში ჯაგრისი დარბილდება, თუ მას ცოტა ხნით მდუღარე წყალში ჩავუშვებთ.

● ფეხსაცმლის ჭუჭყიანი ჯაგრისი უნდა გარეცხოთ ნიშადურიანი წყლით.

● თუ ფეხსაცმელი წინდას ღებავს, ფეხსაცმლის სარჩული გაწმინდეთ სპირტში დასველებული ბამბით.

● ახალმა ფეხსაცმელმა ფეხის ქუსლი რომ არ დაგიბეგვოთ, ფეხსაცმელს შიგნიდან გამოუსვით სანთელი, სველი საპონი ან სპირტი.

● მაღაზიაში ნაყიდი საცვლები ჩაცმამდე უნდა გარეცხოთ, რადგან ფაბრიკიდან წამოღების შემდეგ ისინი ჯერ საწყობში აწყვია, შემდეგ მაღაზიის თაროებზე...

გარეკანის პირველ გვერდზე — პიანისტი ლალი მიქავა. სლაიდი გრ. სეირანიანისა. მეოთხე გვერდზე — სიღნაღი, სლაიდი თ. ფურცხვანიძისა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 22/V-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 2156 უე 01960 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვიცნობდეთ ჩვენი დედაქალაქის ძეგლებს

# თბილისის სიონი



ძველ ქართულ მატიანეთა თანახმად თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლის — სიონის მშენებლობა VII საუკუნის 20-იან წლებში დამთავრებულა. მშენებლობაში ქართველ ერისმთავრებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვით ქალაქის მოსახლეობაც. არსებობის მანძილზე ძეგლი ბევრჯერ გადაკეთდა.

ახლანდელი ტაძარი თავისი ძირითადი ნაწილებით, განვითარებული ფეოდალიზმის ხანას (შესაძლებელია XII-XIII სს.) უნდა ეკუთვნოდეს.

ისე როგორც თბილისმა, ამ ძეგლმაც ბევრჯერ განიცადა ულმობელი ნგრევა-აოხრება: XIII საუკუნეში იგი დაარბია ჯალალ ედდინმა, 1522 წელს — ირანის შახმა ისმაილმა, XVII საუკუნეში — შაჰ აბასმა და სხვ.

გაუთავებელი ნგრევა-აღდგენის გამო, ამჟამინდელი სიონის ტაძარი არ შეიძლება ერთი განსაზღვრული ეპოქის ძეგლად ჩაითვალოს.

**1657** წელს თბილისის მიტროპოლიტმა ელისე საგინაშვილმა სამხრეთის მხრივ ეკლესიას მცირე სამლოცველო მიაშენა, ხოლო **1710** წელს ქართლის მეფემ ვახტანგ VI ახალი პერანგით მოაპირკეთა ეკლესიის კედლები და ხელმეორედ ააშენა გუმბათის ყელი.

სიონი ერთადერთი ძველი ქართული ძეგლია მთლიანად მოპირკეთებული ბოლნისური ტუფით, რომელმაც გავრცელება ჰპოვა ჩვენ დროში — ახალი თბილისის მშენებლობაზე.

**1850-60** წლებში ეკლესია შიგნიდან მთლიანად მოხატა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და იცნობდა ქართულ ხელოვნებას, თუმცა მისი მხატვრობა ფაქიზი ფერადოვნებით დიდად ჩამორჩება ძველ ქართულ ფრესკებს.

სიონის გალავანში, ეკლესიის ჩრდილოეთით, ძველი სამრეკლოა, მისი ზემო ნაწილი — ფანჩატური — განახლებულია ჩვენს დროში. სიონის მეზობლად, ქუჩის მეორე მხარეს, დგას მეორე სამრეკლოც, წარწერის მიხედვით 1812 წელს აშენებული. იგი პირველი ნიმუშია კლასიციზმის სტილისა, რომელიც თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში გავრცელდა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე.

ამჟამად თბილისის სიონის ტაძრის ინტერიერში მიმდინარეობს მხატვრობის გაწმენდა და გამაგრებითი სამუშაოები, რაც მეტად დაგვეხმარება მის უკეთ აღქმაში.

ირ. ზაქარიაშვილი



ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა